საქართველოს
დაზღვევის სახელმწიფო
ზედამხედველობის სამსახური

# წლიური ანგარიში

# 2024



## ძვირფასო მკითხველებო,

**წარმოგიდგენთ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2024 წლის ანგარიშს.**

საქართველოში, დაზღვევის სექტორი დღეს განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებს გადის. სამსახურის მიერ მიღებული და დამუშავებული მონაცემების მიხედვით, 2024 წელს, მოზიდულმა პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან 1 259 მლნ ლარი შეადგინა, რაც 18%-ით მეტია წინა წლის მონაცემთან შედარებით, მოზიდული პრემიის ზრდა ფიქსირდება დაზღვევის ყველა წამყვან სახეობაში.

2024 წლის მიხედვით, კომპანიების სადაზღვევო მოგებამ შეადგინა 307 მლნ ლარი, რაც წინა წლის მონაცემზე 24%-ით მეტია, ხოლო წმინდა მოგება გაზრდილია 72%-ით და 127 მლნ. ლარი შეადგინა.

წმინდა მოგების ზრდა, ძირითადად, განპირობებულია სადაზღვევო ბაზრის ზრდის ფონზე სადაზღვევო მოგების ზრდით. აგრეთვე, სხვა შემოსავლებით (მათ შორის, საინვესტიციო შემოსავლებით და ვალუტის კურსთაშორისი სხვაობით). წმინდა მოგების ზრდაზე ასევე გავლენა იქონია სადაზღვევო სექტორის დაბეგვრის ესტონურ მოდელზე გადასვლამაც. მოგების რეინვესტირებამ კი ხელი შეუწყო მზარდი კაპიტალიზაციის პირობებში ბაზრის სტაბილურ განვითარებას.

2024 წლის შედეგები ცხადყოფს, რომ სადაზღვევო ბაზარი დინამიური ზრდით ხასიათდება. ყოველწლიურად იზრდება სადაზღვევო საქმიანობიდან მოზიდული პრემია, სადაზღვევო ორგანიზაციები ცდილობენ არსებული სადაზღვევო პროდუქტები დახვეწონ და მომხმარებლებს მაღალი დონის მომსახურება შესთავაზონ.
10 წლიანი მონაცემების მიხედვით, სამედიცინო დაზღვევის მიმართულება უპირობო ლიდერია, რომელსაც მოყვება სახმელეთო ტრანსპორტის და ქონების დაზღვევის მიმართულებები. მზღვეველების მიერ შემუშავებულია საკმაოდ მოსახერხებელი სადაზღვევო პროდუქტები და კონკურენცია საკმაოდ ძლიერია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2024 წელს საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ისტორიაში ყველაზე დიდი გარიგება განხორციელდა. კერძოდ, შეიქმნა ახალი მზღვეველი, რომელმაც არსებული მზღვეველის სადაზღვევო პორტფელის უდიდესი ნაწილი შეიძინა. აღნიშნული გარიგებიდან გამომდინარე, სექტორში განხორციელებულმა დამატებითმა ინვესტიციამ 30 მილიონ ლარს გადააჭარბა.

2024 წელს სამსახურმა დაამტკიცა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისგანვითარების 2025-2029 წლების სტრატეგია. დასახული მისიიდან, მიზნიდან და არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, სტრატეგიაში გამოიკვეთა 4 პრიორიტეტული მიმართულება:

1. ორგანიზაციის ეფექტიანი მართვა და განვითარება.
2. საზედამხედველო საქმიანობის შემდგომი განვითარება.
3. მომხმარებლის უფლებების დაცვისა და ფინანსური განათლების მხარდაჭერა.
4. სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარების მხარდაჭერა და თანამშრომლობის გაღრმავება.

2024 წელს, აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა როგორც დაზღვევის სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის დახვეწაზე, ისე საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესის სათანადოდ წარმართვის მიმართულებით. სამართლებრივი ბაზის განვითარების მიმართულებით, 2024 წელს, გამოიცა – „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

განხორციელებული რეფორმის მიზანია, ქვეყანაში ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სისტემის განვითარება, თავისუფალი კონკურენციის და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, გრძელვადიანი ინვესტიციების წახალისება და საპენსიო სქემის მონაწილეების, ბენეფიციარების ინტერესების დაცვა. 2024 წლის 1 მარტიდან, ამოქმედდა სამოგზაურო დაზღვევის მიმართ დადგენილი მინიმალური მოთხოვნები, რომელიც დაუახლოვდა არსებულ საერთაშორისო სტანდარტს. შედეგად, გაიზარდა სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტიდან გამომდინარე მომხმარებლის დაცულობა და ინფორმირებულობის ხარისხი. გატარებულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამოგზაურო დაზღვევის ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის ზრდას.

ასევე, 2024 წელს, შევიმუშავეთ და ამოქმედდა რეკომენდაცია – ზიანის დაზღვევისას, უხეში გაუფრთხილებლობის საფუძვლით სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის თაობაზე, მომხმარებლის ინფორმირების შესახებ. რეკომენდაციის მიზანია, ქონების (უძრავი/მოძრავი ნივთი) დაზღვევისას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლით გათვალისწინებული უხეში გაუფრთხილებლობის, როგორც სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის საფუძვლის თაობაზე მომხმარებლის სათანადო ინფორმირებულობა, დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მომხმარებლის გონივრული მოლოდინის დაცვის უზრუნველყოფა და აღნიშნული საფუძვლით უარის თქმის შემთხვევაში, მომხმარებლისადმი მოპყრობის სამართლიანი პოლიტიკის განსაზღვრა. რეკომენდაციით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება უზრუნველყოფს გამჭვირვალე სახელშეკრულებო პირობების არსებობას, რაც თავის მხრივ, მომხმარებლის უფლებების დაცვისა და მზღვეველის მიმართ ნდობის განმტკიცებას, საბოლოო ჯამში კი, სადაზღვევო ბაზრის განვითარებას შეუწყობს ხელს.

გასულ წელს შევიმუშავეთ და 2025 წელს ამოქმედდა, დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ფინანსური ხარჯების და დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლასთან დაკავშირებით – მომხმარებლის ინფორმირების სტანდარტი.

საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით, ეფექტური ზედამხედველობისა და რეგულირების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ შესაბამის სახელმწიფო და კერძო, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას, რათა მოხდეს მნიშვნელოვანი ინფორმაციის და გამოცდილების დროული გაზიარება. როგორც ადგილობრივ დონეზე, ისე საერთაშორისო მიმართულებით სამსახურმა არაერთ კონფერენციაში და სამუშაო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

2024 წელს, საერთაშორისო დონეზე პარტნიორებთან თანამშრომლობის მიმართულებით, სამსახური მნიშვნელოვანი შედეგებით პოზიციონირებდა. აღნიშნულს ადასტურებს დაზღვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციის (IAIS ) აღმასრულებელი კომიტეტის წევრად – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა, სადაც წარმოვადგენ ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპისა და ამიერკავკასიის რეგიონის 30 ქვეყანას.(CEET რეგიონი) მოცემულ პოზიციაზე ჩემი არჩევა მიზნად ისახავს ამ რეგიონის ქვეყნების ინტერესების დაცვის უზრუნველყოფას და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებას ასოციაციის საქმიანობის პროცესში.

აღმასრულებელ კომიტეტში წარმომადგენლობა, როგორც ქვეყნისთვის, ასევე სამსახურისთვის ახალი და მნიშვნელოვანი ეტაპია. აღსანიშნავია, რომ არათუ საქართველოს, არამედ ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან წარმომადგენელი პირველად იქნა არჩეული ამ პოზიციაზე რეგიონიდან. აღნიშნული გადაწყვეტილება ახალ შესაძლებლობებს ქმნის საქართველოსთვის – რეგიონში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების, გამოცდილების გაზიარებისა და გლობალური სტანდარტების შესაბამისი მიდგომების დანერგვისთვის. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია საერთაშორისო სადაზღვევო სისტემაში საქართველოს როლის გაძლიერებისთვის, რაც გაზრდის მსოფლიოს ლიდერ სახელმწიფოებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობებს, ხოლო საქართველოს სადაზღვევო სექტორს უფრო მეტად კონკურენტუნარიანსა და მდგრადს გახდის.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის ოქტომბერში, საქართველო პირველად უმასპინძლებს ცენტრალური, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სადაზღვევო ზედამხედველების (CESEE-ISI) 24-ე საერთაშორისო კონფერენციას, სადაც ოცი ქვეყნის დელეგაცია მიიღებს მონაწილეობას.

ჩვენი სამსახურის მთავარი მიზანი და ამოცანაა:
- მზღვეველების, ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემის დამფუძნებლების და სადაზღვევო ბროკერების ფინანსური მდგრადობის/გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა და კონტროლი;
- მომხმარებლის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა ;
- საქართველოში სადაზღვევო სექტორის სტაბილური განვითარება, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი წინაპირობაა.

მადლობა მინდა გადავუხადო მხარდაჭერისთვის, ჩართულობისა და თანამშრომლობისთვის საქართველოს პარლამენტს და მთავრობას, მთავრობის ეკონომიკურ გუნდს, სამსახურის სამეთვალყურეო საბჭოს. ასევე, ჩვენს კოლეგა უწყებებს, სადაზღვევო, ბიზნესს, არასამთავრობო და აკადემიურ სექტორს, ექსპერტებს, მედიას, საერთაშორისო პარტნიორ უწყებებს.

**საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი**

**დავით ონოფრიშვილი**

# სარჩევი


| | |
|---|---|
| სამსახურის უფროსის მიმართვა | 1 |
| ლიცენზირება-რეგისტრაციის პროცესი | 5 |
| სადაზღვევო ორგანიზაციები | 5 |
| არასახელმწიფო საპენსიო სქემები | 7 |
| სადაზღვევო ბროკერები | 8 |
| საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და საზედამხედველო პროცესი | 9 |
| სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა | 9 |
| სადაზღვევო ბროკერები | 26 |
| საზედამხედველო პროცესი | 28 |
| სამსახურის განვითარების სტრატეგია | 31 |
| ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა | 33 |
| აქტუარული პროფესიის განვითარება საქართველოში | 34 |
| სამართლებრივი ბაზის განვითარება/საკანონმდებლო პროცესი | 35 |
| საერთაშორისო თანამშრომლობა | 39 |
| ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება | 44 |
| ევროკავშირთან ინტეგრაცია | 44 |
| გადახდისუუნარიანობა 2-ს დირექტივასთან ჰარმონიზაციის პროცესი | 45 |
| მომხმარებლის უფლებების დაცვა | 46 |
| ფინანსური განათლების ხელშეწყობა | 50 |

# ლიცენზირება-რეგისტრაციის პროცესი

## სადაზღვევო ორგანიზაციები

2024 წლის დეკემბრის მონაცემებით, საქართველოში ლიცენზირებულია 19 სადაზღვევო ორგანიზაცია, რომლებიც ფლობენ ორივე სახის ლიცენზიას – სიცოცხლის დაზღვევის და დაზღვევის (არა სიცოცხლის).

- სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ"
- სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი"
- სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"
- სს „სადაზღვევო კომპანია ტაო"
- სს „დაზღვევის კომპანია ქართუ"
- სს „გრინ დაზღვევა საქართველო"
- სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო"
- სს „თიბისი დაზღვევა"
- სს „სადაზღვევო კომპანია ავტოგრაფი"
- სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი"
- სს „სადაზღვევო კომპანია ალფა"
- სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია"
- სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია"
- სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი"
- სს „პსპ დაზღვევა"
- სს „არდი დაზღვევა"
- სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი"
- სს „ნიუ ვიჟენ დაზღვევა"
- სს „ბბ დაზღვევა"

2024 წლის დასაწყისიდან, სამსახურმა დაიწყო სს „არდი დაზღვევას“ სადაზღვევო პორტფელის გასხვისება/შეძენასთან დაკავშირებული პროცესის განხილვა-შესწავლა. აღნიშნული პროცესის ფარგლებში, დაგეგმილი იყო სს „საქართველოს კაპიტალის“ ჯგუფის მიერ სს „არდი დაზღვევას“ პორტფელის (გარდა უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა პასუხისმგებლობის მესამე პირის წინაშე სავალდებულო დაზღვევის და ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობებში არსებული პორტფელებისა) შეძენა ახალი მზღვეველი ორგანიზაციის დაფუძნების გზით.

მოცემულის ფარგლებში, 2024 წლის მარტის თვეში, შესაბამისი მომართვის საფუძველზე სამსახურმა დაიწყო ახალი სუბიექტის – „სს არდი ჰოლდინგის“ სალიცენზიო განცხადების შესწავლის პროცესი და წარმოდგენილი დოკუმენტების/ინფორმაციის შესაბამისობის განხილვა კანონმდებლობით განსაზღვრულ სალიცენზიო პირობებთან. საკითხის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, სალიცენზიო განაცხადთან ერთად, სამსახურმა, ასევე, შეისწავლა სადაზღვევო პორტფელის გამსხვისებელსა და მის პოტენციურ შემძენს შორის გაფორმებული მემორანდუმი, რომელში გაწერილ პირობებზეც, თავის მხრივ, დამოკიდებული იყო როგორც, სადაზღვევო პორტფელის შეძენა, ისე ახალი სუბიექტის სამომავლო საქმიანობის გეგმა.

სამსახურმა შეისწავლა ლიცენზიის მაძიებლის სადამფუძნებლო დოკუმენტები, სტრუქტურა, მართვის ორგანოების სისტემა და მართვის ორგანოების წევრების (სამეთვალყურეო საბჭოს 3 წევრის, მათ შორის -დამოუკიდებელი წევრის, 3 ხელმძღვანელი პირის) შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობა, როგორც საკვალიფიკაციო კრიტერიუმების, ისე ინტერესთა კონფლიქტების მიმართულებით, კაპიტალის წარმოშობა და მომდევნო 3 წლის ბიზნეს გეგმა.

სადაზღვევო პორტფელის გასხვისებასთან დაკავშირებული სპეციფიური პირობების გათვალისწინებით, დაზღვევის ლიცენზიის გაცემამდე გაანალიზდა და დაიგეგმა წინარე პროცესები, რაც დაკავშირებული იყო გამსხვისებლის – „სს არდი დაზღვევას“ საფირმო სახელწოდების ცვლილებასა და მისი სადაზღვევო პორტფელის (და პორტფელთან დაკავშირებული აქტივების) გადაცემისას მომხმარებელთა და შესაბამის დაკავშირებულ პირთა ინტერესების დაცვისა და მათთვის მომსახურების/ვალდებულებების შესრულების შეუფერხებელი და უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფასთან.



2024 წლის 22 აპრილს გაიცა დაზღვევის (არასიცოცხლის) და სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიები ახალ მზღვეველზე – სს “სადაზღვევო კომპანია არდი ჰოლდინგზე”

2024 წლის 2 მაისს განხორციელდა ცვლილებები სს “არდი დაზღვევას” დაზღვევის (არასიცოცხლის) და სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიებში საფირმო სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით და კომპანიამ განაგრძო საქმიანობა საფირმო სახელწოდებით – სს „სადაზღვევო კომპანია ავტოგრაფი “

2024 წლის 2 მაისს განხორციელდა ცვლილებები სს „სადაზღვევო კომპანია არდი ჰოლდინგის“ დაზღვევის (არასიცოცხლის) და სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიებში საფირმო სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით და კომპანიამ განაგრძო საქმიანობა საფირმო სახელწოდებით – სს „არდი დაზღვევა“

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამავე კანონით გათვალისწინებულ შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სამსახურის მიერ წინასწარ შესწავლას ექვემდებარება მზღვეველის ადმინისტრატორის (სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, დირექტორის), ასევე შიდა აუდიტის კანდიდატურები. იმავე კანონით გათვალისწინებული ვალდებულებიდან გამომდინარე (მზღვეველის სამეთვალყურეო საბჭოში დამოუკიდებელი წევრის ყოლა და სამეთვალყურეო საბჭოში შიდა აუდიტის კომიტეტის არსებობა), 2024 წლის 1 იანვრიდან სამსახურის მიერ, ასევე დამატებით შესწავლას ექვემდებარება მზღვეველის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დამოუკიდებლად მიჩნევის კრიტერიუმებთან შესაბამისობა. საანგარიშო პერიოდში სამსახურმა განიხილა და შეისწავლა შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები/ინფორმაცია 52 კანდიდატზე. შედეგად, გაიცა ერთი უარი სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრობის კანდიდატის დანიშვნაზე და 51 თანხმობა (მათ შორის 12 სამეთვალყურეო საბჭოს წევრზე, საიდანაც 8 იყო დამოუკიდებელი წევრი, 30 ხელმძღვანელ პირზე, 9 შიდა აუდიტზე).

## არასახელმწიფო საპენსიო სქემები

2024 წლის დასაწყისისთვის, სამსახურში რეგისტრირებული იყო 4 არასახელმწიფო საპენსიო სქემა. მარტის თვეში, სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს“ მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებისა და სამსახურისათვის მომართვის საფუძველზე, განხორციელდა სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს“ საპენსიო სქემის შეწყვეტა და საპენსიო სქემის რეგისტრაციის გაუქმება (მზღვეველის მიერ 2008 წელს დარეგისტრირებული საპენსიო სქემის ფარგლებში წევრები არ ჰყოლია, შესაბამისად, საქმიანობა არ უწარმოებია).

2024 წლის ბოლოსთვის, სამსახურში რეგისტრირებული იყო 3 არასახელმწიფო საპენსიო სქემა, რომელთაგან 2 სქემის დამფუძნებელს წარმოადგენს სადაზღვევო კომპანია, ხოლო ერთი დაფუძნებულია არა მზღვეველი იურიდიული პირის მიერ, საკუთარი დასაქმებულებისათვის, კერძოდ:




„ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ 2023 წლის 28 ივნისის საქართველოს კანონის შესაბამისად, 2025 წლის 1 იანვრამდე, რეგისტრირებული არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლები ვალდებული არიან, 2026 წლის 1 იანვრამდე, უზრუნველყონ საკუთარი საქმიანობის ხსენებული კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

## სადაზღვევო ბროკერები

2024 წლის დასაწყისისთვის, დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას ახორციელებდა 25 რეგისტრირებული სადაზღვევო ბროკერი.

2024 წლის იანვარში, საქმიანობის შეწყვეტის გამო, პირადი განცხადების საფუძველზე, რეგისტრაცია გაუუქმდა შპს "სადაზღვევო საბროკერო კომპანია თი ერ ჯი ჯგუფი"-ს. 2024 წლის თებერვალში, საქმიანობის შეწყვეტის გამო, პირადი განცხადების საფუძველზე რეგისტრაცია გაუუქმდა შპს "სადაზღვევო ბროკერი ინშეარ 2"-ს. 2024 წლის მაისში, საფირმო სახელწოდების ცვლილების გამო, განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები შპს "სადაზღვევო საბროკერო აი ჯი"-ს სარეგისტრაციო დოკუმენტებში და კომპანია აგრძელებს საქმიანობას შპს „სადაზღვევო საბროკერო აქტონი"-ს სახელით.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა განიხილა და შეისწავლა ერთი სუბიექტის განაცხადი სადაზღვევო ბროკერად რეგისტრაციის თაობაზე და რეგისტრაციაში გატარდა სადაზღვევო ბროკერი - შპს „სადაზღვევო ბროკერი ვი ინშუარ".

2024 წლის დეკემბრის მონაცემებით, დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას ახორციელებდა 24 სადაზღვევო ბროკერი:

- შპს „დაზღვევის და გადაზღვევის ბროკერი გრეკო";
- შპს "რეზოლუშნ ინშუარანს ბროუქერს საქართველო";
- შპს "სადაზღვევო ბროკერი ჯი.ეს";
- შპს "ჯორჯიან რეინშურანს ბროკერს GEORGIAN REINSURANCE BROKERS;
- შპს " სადაზღვევო ბროკერი რესპექტი";
- შპს "სიბ ჯორჯია სადაზღვევო ბროკერი";
- შპს "სადაზღვევო ბროკერი ნიკოლოზ ჯგუფი";
- შპს " მაგნუსი სადაზღვევო ბროკერი";
- შპს „სადაზღვევო-საბროკერო კომპანია აი ბი სი ჯორჯია";
- შპს "სადაზღვევო საბროკერო კომპანია კალმა";
- შპს "დაზღვევის და გადაზღვევის ბროკერი არრიბა";
- შპს "სადაზღვევო და გადაზღვევის ბროკერი ბროკერზ ჰაუზ ჯორჯია";
- შპს „სადაზღვევო საბროკერო აქტონი";
- შსპ "სადაზღვევო ბროკერი ბროკერს ჰაბი";
- შსპ "საქართველოს სადაზღვევო ბროკერი ჯი-აი-ბი;
- უცხოური საწარმოს ფილიალი „ზამან ინშუარენს&რეინშუარენს ბროკერ-ის ფილიალი";
- შპს "სადაზღვევო და გადაზღვევის ბროკერი პრიოჯი";
- შპს "სადაზღვევო ბროკერი ფრანი";
- შპს "სადაზღვევო ბროკერი ინფორსი";
- შპს "სადაზღვევო ბროკერი ვოლო";
- შპს "სადაზღვევო ბროკერი ჯეოთრასთ";
- შპს "დედა სადაზღვევო ბროკერი";
- შპს "სადაზღვევო ბროკერი თიეი";
- შპს „ სადაზღვევო ბროკერი ვი ინშუარ".

კანონმდებლობით დადგენილ სადაზღვევო ლიმიტებთან და დაზღვევის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესწავლილი იქნა ყველა რეგისტრირებული სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის განახლებული პოლისი.

# საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და საზედამხედველო პროცესი

## სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა

2024 წლის ანგარიშგების მიხედვით, მოზიდულმა პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან 1 259 მლნ ლარი შეადგინა, რაც 18%-ით მეტია წინა წლის მონაცემზე.




ქვემოთ მოცემულია 10 წლის განმავლობაში სადაზღვევო ბაზრის განვითარების დინამიკა. ბოლო ათი წლის განმავლობაში სამნახევარჯერ გაიზარდა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში თითქმის გაორმაგდა სადაზღვევო ბაზარი




მოზიდული პრემია წლების მიხედვით
(მლნ. ლარი)

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე გამოსახულია საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების ბოლო 10 წლის დინამიკა. სახეზეა ბაზრის სტაბილური ზრდა




ზემოთ მოცემულ დიაგრამაზე გამოსახულია საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების ბოლო 10 წლის დინამიკა. სახეზეა ბაზრის სტაბილური ზრდა. სადაზღვევო პროდუქტების მრავალფეროვნების ფონზე, მაღალი მოთხოვნით კვლავ სარგებლობს, ძირითადად, სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის, სახმელეთო ტრანსპორტის და ქონების დაზღვევის მიმართულებები. თუმცა, ცხადია, იმის გათვალისწინებით, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებით მომხმარებელთა ცნობიერება ბევრად მაღალია, ხოლო წლების განმავლობაში მზღვეველებმა საკმაოდ მოსახერხებელი სადაზღვევო პაკეტები შეიმუშავეს, სამედიცინო დაზღვევის მიმართულება ამ ეტაპზე უპირობო ლიდერია. ავტოტრანსპორტის დაზღვევის მიმართულებით მზარდი მოთხოვნა გამოწვეულია საგზაო მოძრაობის ინტენსივობის ზრდით და შემთხვევების მაღალი სიხშირით.



2024 წლის განმავლობაში, სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის საქმიანობიდან მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 534 მლნ. ლარი, რაც მთლიანი მოზიდული პრემიის 42%-ს შეადგენს, ხოლო ავტოკასკო 256 მლნ. ლარით, მთლიანი მოზიდული პრემიის 20%-ს შეადგენს. ქონების დაზღვევის სახეობაში მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 132 მლნ. ლარი, რაც სადაზღვევო ბაზრის 11%-ია. სიცოცხლის დაზღვევას მთლიან მოზიდულ პრემიაში 9% უკავია 109 მლნ. ლარით, ავტომობილის მფლობელთა მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობები 82 მლნ. და 32 მლნ. ლარია, რაც მთლიანი მოზიდული პრემიის 6% და 3% შეადგენს. დაზღვევის სხვა სახეობებზე ჯამში 9% მოდის – 114 მლნ. ლარი.

სიცოცხლის დაზღვევა მეტწილად საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებულ სადაზღვევო პროდუქტს უკავშირდება, თუმცა, ასევე, მოიცავს ჯანმრთელობის დაზღვევასთან ერთად რეალიზებულ სიცოცხლის დაზღვევასაც.

ავტო პასუხისმგებლობა მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას, ასევე ნებაყოფლობით დაზღვევას და სახმელეთო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევას.




**სადაზღვევო სექტორის წილი მშპ-ში**

2024 წლის მონაცემებით, გაზრდილია სადაზღვევო სექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში, რაც გამოწვეულია სექტორის უფრო მაღალი ზრდის ტემპით მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით. თუმცა, აღნიშნულიმაჩვენებელი ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს, ვინაიდან ამ ეტაპისთვის არ არის დანერგილი სახმელეთო ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა. ასევე, გრძელვადიანი და დაგროვებადი სიცოცხლის დაზღვევა, რაც განვითარებულ სადაზღვევ ბაზრებში წამყვან მიმართულებებად მიიჩნევა. აღნიშნული მიმართულებებით აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა, რაც ბაზრის განვითარების და მოცულობის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაზრდის სადაზღვევო სექტორის მიმზიდველობას პოტენციური ინვესტორებისთვის.

მოზიდული პრემიის დინამიკა სახეობების მიხედვით
(მლნ. ლარი)




**შენიშვნა 1: „სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევა“ მოიცავს პროფესიული პასუხისმგებლობის, დამქირავებლის პასუხისმგებლობის და ზოგადი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობებს, რომელიც არ არის დაკავშირებული სახმელეთო ან სხვა სახის ტრანსპორტის დაზღვევასთან.**

**შენიშვნა 2: "სხვა" ძირითადად მოიცავს ტვირთების, სამოგზაურო, საზღვაო ტრანსპორტის, საავიაციო, ვალდებულებათა შესრულების და ფინანსური დანაკარგებისგან დაზღვევის სახეობებს.**

მიუხედავად ბოლო წლების განმავლობაში მომხდარი გლობალური რყევებისა (COVID-19 პანდემია, სამხედრო კონფლიქტები და სტიქიური მოვლენები მეზობელ, ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში) სექტორი მნიშვნელოვანი რყევების გარეშე იზრდება.

**მზღვეველების ფინანსური სიმყარის მაჩვენებლები და დინამიკა წლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ.**




**გადაზღვევის პრემია წლების მიხედვით
(მლნ. ლარი)**

შენიშვნა: მაჩვენებლები არ მოიცავს ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევის/გადაზღვევის მონაცემებს, რადგან სიცოცხლის დაზღვევა მეტწილად გაერთიანებულია ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტებში, როგორც მარტივი ერთწლიანი პროდუქტი განსაზღვრული ლიმიტით ან ცალკე, საბანკო-სასესხო ვალდებულების ფარგლებში გაცემული სიცოცხლის დაზღვევის სახით. სწორედ ამიტომ, გადაზღვევა აღნიშნულ სახეობებში არ არის ისეთივე ხშირი ან მოცულობითი, როგორც ქონების და პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობებში.

გადაზღვევა წარმოადგენს მზღვეველის საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს და მისი ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის წამყვან ინსტრუმენტს.

როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, გადაზღვევის დაფარვა კანონზომიერად მიჰყვება მზღვეველების საქმიანობის განვითარებას. გადამზღვევველთა მონაწილეობა რჩება სტაბილური აღებული ვალდებულებების უმეტეს ნაწილში, განსაკუთრებით ეს ეხება ქონებრივი რისკების და პასუხისმგებლობის დაზღვევის მიმართულებებს.

აქვე, აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში სულ უფრო პოპულარული ხდება მოცულობითი და კომპლექსური ობლიგატორული გადაზღვევის ხელშეკრულებების გაფორმება და მზღვეველები ცდილობენ ამით მინიმუმამდე დაიყვანონ ფაკულტატიური გადაზღვევის ხელშეკრულებების რაოდენობა. ობლიგატორული გადაზღვევა ავტომატურად მოიცავს მზღვეველის სადაზღვევო პორტფელის განსაზღვრულ ნაწილს და მნიშვნელოვნად ამცირებს რისკების სათითაოდ (ფაკულტატურად) განთავსებასთან დაკავშირებულ პროცესებს და საოპერაციო რისკებს.




მოცემულ გრაფიკში აღნიშნული წილები ძირითადად დაკავშირებულია მზღვეველების მიერ ერთ რისკზე აღებულ ვალდებულებებთან. კერძოდ, რაც უფრო მეტია სადაზღვევო თანხა (დაზღვეული რისკის მოცულობა), მით უფრო მეტად დგება გადაზღვევის საჭიროება. ამიტომ, აქ მოცულობით ლიდერობს ქონების დაზღვევა, რომელიც მოზიდული პრემიის ნაწილშიც ძირითად სახეობებში შედის, ხოლო სხვა სახეობებში, მიუხედავად შედარებით მცირე პრემიებისა, ერთ რისკზე აღებულივალდებულება შესაძლოა საკმაოდ მოცულობითი იყოს.

**გადაზღვევის პრემია ძირითადი სახეობების მიხედვით**

| დაზღვევის სახეობები | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამედიცინო | 0% | 6% | 0% | 3% | 0% | 2% | 20% | 18% | 17% | 16% |
| სახმ. ტრანსპ. | 6% | 3% | 17% | 26% | 15% | 10% | 8% | 12% | 12% | 13% |
| ქონება | 71% | 60% | 63% | 66% | 58% | 63% | 64% | 64% | 66% | 63% |
| ავტო. პასუხისმგებლობა | 12% | 7% | 16% | 10% | 8% | 3% | 4% | 5% | 4% | 4% |
| სიცოცხლე | 19% | 17% | 20% | 13% | 12% | 13% | 13% | 14% | 20% | 18% |
| სხვა პას. დაზღვ. | 60% | 42% | 61% | 53% | 53% | 62% | 63% | 68% | 69% | 67% |
| ავიაცია | 90% | 75% | 87% | 90% | 88% | 98% | 93% | 92% | 93% | 95% |
| ვალდებ. შესრ. დაზ. | 60% | 54% | 60% | 62% | 52% | 61% | 61% | 67% | 69% | 71% |
| ტვირთები | 29% | 28% | 29% | 33% | 34% | 33% | 30% | 31% | 37% | 40% |
| სხვა | 16% | 21% | 16% | 17% | 21% | 32% | 35% | 29% | 27% | 22% |
| | 23% | 21% | 22% | 24% | 19% | 21% | 28% | 26% | 26% | 25% |

სახეობების მიხედვით, გადაზღვევის პრემიის პროცენტული წილები ჯამურ პრემიაში ძირითადად უცვლელია წლიდან წლამდე. გადაზღვევა, როგორც წესი, ყველაზე მეტად აქტუალურია ავიაციის, ქონების, სხვა პასუხისმგებლობის, ვალდებულებათა შესრულების და ტვირთების დაზღვევის სახეობებში. სწორედ აღნიშნულ სახეობებში ხდება დიდი რისკების აღება და მათი გადანაწილება გადაზღვევის გამოყენებით. აქვე ჩანს, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობაში გადაზღვევის როლი მინიმალურია, რადგან აქ დგება უფრო მცირე მოცულობის სადაზღვევო შემთხვევები, თუმცა შემთხვევათა სიხშირე ბევრად უფრო მაღალია.




გადაზღვევის პრემია, როგორც მოზიდული ბრუტო პრემიის ნაწილი
(მლნ. ლარი)

შენიშვნა: არ მოიცავს სიცოცხლის და სამედიცინო დაზღვევის სახეობების მონაცემებს.




გადაზღვევის პრემია, როგორც მოზიდული ბრუტო პრემიის ნაწილი
(%)

შენიშვნა: არ მოიცავს სიცოცხლის და სამედიცინო დაზღვევის სახეობების მონაცემებს. აღნიშნული სახეობების დამატებით გადაზღვევის პრემიის წილი 26%-ს შეადგენს.

## საქმიანობის დინამიკა




2024 წელს, გამომუშავებულმა პრემიამ შეადგინა 1 143 მლნ. ლარი და წინა წელთან შედარებით გაზრდილია 18%-ით.

2014 წელს, საყოველთაო დაზღვევის პროგრამების სოციალური მომსახურების სააგენტოში გადანაცვლებასთან ერთად, შემცირდა გამომუშავებული პრემია ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობაში, თუმცა, ამავე დროს, შემცირდა ზარალებიც, ხოლო 2015 წლიდან, როგორც მოზიდული, ისე გამომუშავებული პრემია სტაბილურად და თითქმის პარალელურად იზრდება, რაც ბაზრის სტაბილურ განვითარებაზე მეტყველებს (კერძოდ, არ ფიქსირდება დაზღვევის მნიშვნელოვანი წყვეტა პოლისების გაუქმების გამო).



| | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დამდგარი ზარალი ბრუტო | 194 | 233 | 251 | 339 | 522 | 379 | 425 | 475 | 646 | 708 |
| დამდგარი ზარალი ნეტო | 167 | 187 | 217 | 230 | 277 | 296 | 313 | 373 | 446 | 513 |

ზემოხსენებულ ბრუტო და ნეტო მაჩვენებელს შორის არის გადაზღვევის წილი ზარალებში. ამ გრაფიკიდან მკაფიოდ ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გადაზღვევა სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისა და მზღვეველის ფინანსური სტაბილურობისთვის.




ანაზღაურებული ზარალები (ბრუტო)
(მლნ. ლარი)

ანაზღაურებული ზარალები ბრუტო, პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან შეადგენს 760 მლნ. ლარს და 2023 წელთან შედარებით გაზრდილია 24%-ით.

## ანაზღაურებული ზარალები (ნეტო) (მლნ. ლარი)




**ანაზღაურებული ზარალები ნეტო, შეადგენს 518 მლნ. ლარს და წინა წელთან შედარებით გაზრდილია 17%-ით.**

| | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზარალიანობის კოეფიციენტი (ბრუტო) | 60% | 63% | 61% | 69% | 91% | 61% | 60% | 57% | 66% | 62% |

| | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზარალიანობის კოეფიციენტი (ნეტო) | 68% | 66% | 67% | 60% | 62% | 60% | 62% | 62% | 62% | 61% |

კომპლექსური გადაზღვევის ხელშეკრულებების გამოყენებით, მიუხედავად მოცულობის ზრდისა, ნეტო ზარალიანობის კოეფიციენტი (მზღვეველის წილი ზარალებში) სტაბილურობას ინარჩუნებს. აღსანიშნავია, რომ მაგალითისთვის, 2019 წელს მოცემული 91% ზარალიანობის კოეფიციენტის ზრდა გამოწვეულია მხოლოდ ორი მზღვეველის პორტფელში მომხდარი მსხვილი ზარალებით, მაგრამ ზიანის ოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ გადაზღვევის არარსებობის შემთხვევაში, მზღვეველების მიერ ამ ზარალების ანაზღაურება შეუძლებელი იქნებოდა და ცალსახად გამოიწვევდა მზღვეველის გადახდისუუნარობას. ასეთი რისკების თავიდან აცილების მიზნით, სამსახურს გამოცემული აქვს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლითაც რეგულირდება მზღვეველის მიერ ერთ რისკზე აღებული ნეტო ვალდებულებების მაქსიმალური ოდენობა და დაწესებულია გარკვეული მოთხოვნები გადამზღვეველების და გადაზღვევის ხარისხის მიმართაც.

## ბაზრის კონცენტრაცია







როგორც ზემოთ არსებული გრაფიკებიდან ჩანს, უმსხვილესი 5 მზღვეველის წილი ბაზარზე შეადგენს 67%-ს.

## ქვემოთ მოცემულია ბაზარზე მზღვეველების ინდივიდუალური წილის გადანაწილება.

### ბაზრის კონცენტრაცია მოზიდული პრემიის მიხედვით




## მზღვეველების აქტივების და ვალდებულებების სტრუქტურა

| აქტივის დასახელება | თანხა მლნ. ლარი |
|---|---|
| ფულადი სახსრები, მათი ეკვივალენტები და მოთხოვნები საკ. დაწეს. მიმართ | 541 |
| ფინანსური აქტივები | 53 |
| დაზღვევის და გადაზღვევის მოთხოვნები, წმინდა* | 491 |
| სხვა სადაზღვევო აქტივები** | 179 |
| ინვესტიციები შვილობილ და დაკავშირებულ პირებში | 28 |
| ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება | 53 |
| გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები, წმინდა | 55 |
| სხვა აქტივები | 47 |
| სულ | 1,446 |

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სადაზღვევო კომპანიების აქტივები შეადგენდა 1 446 მლნ. ლარს, რაც 11%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მონაცემზე, ხოლო კაპიტალი გაზრდილია 23%-ით და შეადგენს 459 მლნ. ლარს.

## მზღვეველების აქტივების სტრუქტურა




- ფულადი სახსრები, მათი ეკვივალენტები და მოთხოვნები საქ. დაწეს. მიმართ
- დაზღვევის და გადაზღვევის მოთხოვნები წმინდა
- სხვა სადაზღვევო აქტივები
- ფინანსური აქტივები
- ინვესტიციები შვილობილ და დაკავშირებულ პირებში
- ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება
- გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები, წმინდა
- სხვა აქტივები

* შენიშვნა 1: სადაზღვევო და გადაზღვევის მოთხოვნები შემცირებულია კანონმდებლობით დადგენილი გაუფასურების რეზერვით;
** შენიშვნა 2: სხვა სადაზღვევო აქტივები ძირითადად შედგება რეზერვებში გადამზღვევლის წილისგან.

მზღვეველების აქტივების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს ფულადი სახსრები და სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აქტივების 1/3-ზე მეტს შეადგენს.

## მზღვეველების ვალდებულებების სტრუქტურა




- სადაზღვევო და გადაზღვევის ვალდებულებები
- ფინანსური ვალდებულებები
- საპენსიო ვალდებულებები
- სხვა

მზღვეველების საბალანსო ვალდებულებების 90%, უშუალოდ, უკავშირდება სადაზღვევო და საპენსიო საქმიანობას. სადაზღვევო რეზერვების დაფარვა კი, ძირითადად, ხდება ფულადი სახსრებით. რეზერვების შედარებით მცირე ნაწილი არის განთავსებული უძრავ ქონებაში ან ფინანსურ აქტივებში. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ აქტივების ხარისხს სამსახური განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდება.

## სექტორის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფა
**მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები (მლნ. ლარი)**




მზღვეველის მინიმალური კაპიტალის მიმართ მოთხოვნების ეტაპობრივი გაზრდის გათვალისწინებით, 31.12.2021-დან მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები გაიზარდა 7.2 მლნ. ლარამდე ფულადი ფორმით, თუ მზღვეველი ეწევა საქმიანობას დაზღვევის შემდეგი მიმართულებებით:

- სიცოცხლის დაზღვევა;
- (დაზღვევა) არასიცოცხლის;
- გადაზღვევა;
- სავალდებულო დაზღვევის სახეობები;
- ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა.

ხოლო, თუ მზღვეველი საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევის სახეობებში, გარდა სავალდებულო დაზღვევის და ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობებისა, 2021 წლის 31 დეკემბრიდან მინიმალური კაპიტალის ოდენობა გაიზარდა 4.8 მლნ. ლარამდე.

## მზღვეველების ჯამური კაპიტალი წლების მიხედვით (მლნ. ლარი)




2024 წლის შედეგების მიხედვით, კომპანიების  სადაზღვევო მოგებამ შეადგინა 307 მლნ. ლარი, რაც წინა წლის მონაცემზე 24%-ით მეტია. წმინდა მოგებამ შეადგინა 127 მლნ. ლარი და გაზრდილია 72%-ით. წმინდა მოგების ზრდა, ძირითადად, განპირობებულია სადაზღვევო ბაზრის ზრდის ფონზე სადაზღვევო მოგების ზრდით. აგრეთვე, სხვა შემოსავლებით (მათ შორის, საინვესტიციო შემოსავლებით და ვალუტის კურსთაშორისი სხვაობით). წმინდა მოგების ზრდაზე გავლენა იქონია სადაზღვევო სექტორის დაბეგვრის ესტონურ მოდელზე გადასვლამაც. მოგების რეინვესტირებამ კი ხელი შეუწყო მზარდი კაპიტალიზაციის პირობებში ბაზრის სტაბილურ განვითარებას.

### სადაზღვევო მოგება (მლნ. ლარი)




### წმინდა მოგება (მლნ. ლარი)



## მოგების დინამიკა წლების მიხედვით (მლნ. ლარი)




## კაპიტალზე უკუგების (ROE) დინამიკა



როგორც უკვე აღინიშნა, მოგების ცვალებადობა დაკავშირებული იყო პანდემიასთან და სხვა თანმხლებ ეკონომიკურ პროცესებთან. თუმცა, ბაზარმა მომგებიანობა შეინარჩუნა, ხოლო სამსახურის მიერ მოთხოვნების დაწესება ხდებოდა დროულად და თანმიმდევრულად, რაც შესაბამისად აისახა საზედამხედველო კაპიტალის სტაბილურ ზრდაში.

### საზედამხედველო კაპიტალი
### (მლნ. ლარი)




### გადახდისუნარიანობის მაჩვენებლის და საზედამხედველო კაპიტალის დინამიკა
### (მლნ. ლარი)



საზედამხედველო კაპიტალის ჯამური ოდენობის ზედმეტობა ჯამური გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთან მიმართებაში 241%-ს შეადგენს, რაც ბაზრის მაღალ გადახდისუნარიანობაზე მეტყველებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბაზრის ზრდის ფონზე კაპიტალისადმი მკაცრი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მზღვეველების მცირე ნაწილს უწევს კაპიტალში დამატებითი ინვესტირების განხორციელება. აღნიშნულ პროცესზე სამსახური ინტენსიურ მონიტორინგს ახორციელებს.

**საზედამხედველო კაპიტალის შეფარდება გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთან წლების მიხედვით**




**საზედამხედველო კაპიტალის წილი მზღვეველების ჯამურ კაპიტალში (მლნ. ლარი)**



## საზედამხედველო კაპიტალის წილი მზღვეველების ჯამურ კაპიტალში (% კაპიტალში)




**საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დანერგვის მომენტიდან (2016 წელი) დღემდე მნიშვნელოვნად შემცირებულია დისკონტირებული აქტივების წილი კომპანიების ჯამური აქტივების მოცულობაში.**

## სადაზღვევო ბროკერები

სადაზღვევო ბროკერების საქმიანობა დაზღვევის სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

სადაზღვევო ბროკერები ეხმარებიან მომხმარებლებს რისკების განთავსების ხარისხის უზრუნველყოფაში. სწორედ ამის გათვალისწინებით, განხორციელდა დაზღვევის საშუამავლო მარეგულირებელი საზედამხედველო ჩარჩოს გაძლიერება, რაც მომავალში უფრო მეტად უზრუნველყოფს ბროკერების საქმიანობის მაღალ ხარისხს, პროფესიონალიზმსა და საიმედოობას.

2024 წლის განმავლობაში, სადაზღვევო ბროკერის საკომისიოების ოდენობამ 12.2 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 21%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. სადაზღვევო ბროკერებს საშუამავლო საქმიანობის განხორციელების უფლება აქვთ ერთდროულად როგორც დაზღვევის, ისე გადაზღვევის მიმართულებით, მათი საკომისიო შემოსავლის 66% გამომდინარეობს დაზღვევის საშუამავლო საქმიანობიდან, ხოლო დარჩენილი 34% გადაზღვევის საშუამავლო საქმიანობიდან. 2024 წელს, საკომისიოების ზრდა ფიქსირდება ორივე მიმართულებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია სამსახურის მიერ რეგისტრირებული სადაზღვევო ბროკერების წილი სადაზღვევო სექტორის დაზღვევის პრემიაში.

## ბროკერების მონაწილეობა სადაზღვევო ოპერაციებში




## სადაზღვევო ბროკერების შემოსავლები კი წლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:



# საზედამხედველო პროცესი

სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მზღვეველების, კერძო საპენსიო სქემების დამფუძნებლების და სადაზღვევო ბროკერების (შემდგომში „კომპანიები“) ფინანსური მდგრადობის/გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის კონტროლი. ასევე, მათ  მიერ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მონიტორინგი.

კომპანიების ზედამხედველობის განხორციელების ერთ-ერთი გზაა სამსახურის მიერ დამტკიცებული ყოველთვიური და ყოველკვარტალური ანგარიშგებების ფორმების, დამატებით მოთხოვნილი ინფორმაციის, მზღვეველების ადგილზე ინსპექტირების პროცესში მოპოვებული დოკუმენტაციისა და დეტალური მონაცემების ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში, კომპანიების მიმართ გამოიყენება სანქციები, კომპანიების მიერ კანონმდებლობის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

- 2024 წლის განმავლობაში სამსახურმა შეამოწმა 18 მზღვეველი ორგანიზაციიდან მიღებული 2023 წლის წლიური, IV კვარტლის, დეკემბრის და 2024 წლის I-III კვარტლებისა და იანვარი–ნოემბრის ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები, საზედამხედველო კაპიტალის და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლის გაანგარიშების ფორმები.

- შემოწმდა მზღვეველი ორგანიზაციების და სადაზღვევო ბროკერების მიერ, ამავე პერიოდში საბანკო დაწესებულებებიდან წარმოდგენილი ცნობები ორგანიზაციების საბანკო ანგარიშებზე რიცხული ფულადი ნაშთებისა და ამ ანგარიშებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალებების და ღონისძიებების შესახებ, რომლის შედარება მოხდა წარმოდგენილი  ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების მონაცემებთან.

- შემოწმდა 24 სადაზღვევო ბროკერის მიერ წარმოდგენილი 2023 წლის წლიური და 2024 წლის 6 თვის ანგარიშგების ფორმები.

- საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა განიხილა მზღვეველი ორგანიზაციებიდან მიღებული 2023 წლის გარე აუდიტორული დასკვნები, რის შედარებაც მოხდა ამავე ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ფორმების მონაცემებთან. ასევე, სამსახურმა განიხილა სადაზღვევო ბროკერებისგან მიღებული 2023 წლის გარე აუდიტორული დასკვნები.

- მზღვეველი ორგანიზაციების და არასახელმწიფო  საპენსიო  სქემის დამფუძნებლების მიერ სამსახურში წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმების საფუძველზე, მომზადდა სადაზღვევო ბაზრის 2023 წლისა და 2024 წლის I-III კვარტლების სტატისტიკური და ფინანსური ანგარიშგებები, ითარგმნა ინგლისურ ენაზე და გამოქვეყნდა სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

- სადაზღვევო ბროკერების მიერ სამსახურში წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმების საფუძველზე, მომზადდა 2023 წლისა და 2024 წლის 6 თვის ანგარიშები მათ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ითარგმნა ინგლისურ ენაზე და გამოქვეყნდა სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

- მომზადდა პასუხები და შესაბამისი ანგარიშგებები სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკურ, ფინანსურ და სხვა სახის ინფორმაციასთან დაკავშირებით სხვადასხვა ორგანიზაციებიდან (მზღვეველი ორგანიზაციები, სადაზღვევო ბროკერები, საქართველოს ეროვნული ბანკი, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბუღალტრული  აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო და ა.შ.) შემოსულ წერილებზე.

- მზღვეველი ორგანიზაციების მიერ სამსახურში წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმების საფუძველზე, პერიოდულად მზადდებოდა ანალიტიკური ანგარიშები მზღვეველების ფინანსური მდგომარეობის, გადახდისუნარიანობის, ლიკვიდურობის, სადაზღვევო რეზერვების განთავსებისა და საზედამხედველო კაპიტალის შესაბამისობის შესახებ.

- აღირიცხა მზღვეველი ორგანიზაციების კაპიტალის მინიმალური ოდენობის უზრუნველსაყოფად საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების ხელშეკრულებები და მომზადდა მინიმალურ კაპიტალთან დაკავშირებული გარიგების/ტრანზაქციის განსახორციელებლად მზღვეველებისთვის სამსახურის წინასწარი წერილობითი თანხმობები.

- დამუშავდა სავალდებულო დაზღვევის ცენტრიდან მიღებული 2023 წლის დეკემბრისა და 2024 წლის იანვარი-ნოემბრის ინფორმაცია და შედარდა მზღვეველი ორგანიზაციების მიერ ანგარიშგების ფორმებით წარმოდგენილ ინფორმაციასთან.

- განხორციელდა მზღვეველის მიერ აღებულ ნეტო ვალდებულებებსა და საზედამხედველო კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობის წესის და შესაბამისი დანართების/ანგარიშგების ფორმების შემოწმება, სამსახურმა გამოითხოვა სხვა დამხმარე ინფორმაცია, მათ შორის, ინფორმაცია გადაზღვევის ხელშეკრულებების შესახებ და გარკვეულ შემთხვევებში, გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულებები.

- განხორციელდა 2023 წლის IV და 2024 წლის I-III კვარტლების მზღვეველების ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი მსოფლიო ბანკის ექსპერტების მხარდაჭერით დანერგილი ანალიტიკური ინსტრუმენტის მეშვეობით.

- აღსანიშნავია ისიც, რომ სამსახური დისტანციური ზედამხედველობის ფარგლებში, ასევე აქტიურად აკონტროლებს ადგილზე ინსპექტირების შედეგად მზღვეველის მიერ სამსახურის მითითებების შესრულებას.

- სულ 2024 წლის განმავლობაში, სამსახურის მიერ დისტანციური ზედამხედველობის პროცესში გამოვლინდა დარღვევის 272 ფაქტი, გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით, სამსახურმა გასცა წერილობითი გაფრთხილებები და შესაბამის კომპანიებს დააკისრა ფულადი ჯარიმები.

- სადაზღვევო ბროკერების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმების შემოწმებისას გამოიკვეთა გარკვეული სახის უზუსტობები, რაზეც მომზადდა შესაბამისი წერილები და მოხდა დაზუსტებული ანგარიშგების ფორმების გამოთხოვა. გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით, სამსახურმა გასცა წერილობითი გაფრთხილებები და დააკისრა ფულადი ჯარიმა.

- 2023 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებების განხილვის შედეგად, მოხდა მზღვეველი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გასაუბრება და აუდიტორულ ანგარიშგებასა და წარმოდგენილ საზედამხედველო ანგარიშგების ფორმებში ასახულ მონაცემებს შორის სხვაობის მიზეზებზე დამატებითი ახსნა-განმარტებების მიღება, რის შედეგადაც მზღვეველებმა სამსახურში წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმები შესაბამისობაში მოიყვანეს აუდიტორული ფინანსური ანგარიშგებების მონაცემებთან.

- აღსანიშნავია, რომ 2024 წელს მზღვეველებმა პირველად წარმოადგინეს დაზღვევის ფინანსური ანგარიშგების ახალი საერთაშორისო სტანდარტის (ფასს 17) მიხედვით მომზადებული და აუდიტირებული 2023 წლის ფინანსური ანგარიშგებები, სადაც აისახა აგრეთვე საწყისი ნაშთების (2022 წელი) გადაანგარიშება ახალი სტანდარტის მიხედვით. სამსახურმა შეისწავლა აღნიშნული ცვლილების ეფექტი მზღვეველების კაპიტალზე.

- ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსთან და მზღვეველ ორგანიზაციებთან სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევით მოსარგებლე პირთა სიების დაზუსტების მიზნით, კომუნიკაციის შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირებულია მზღვეველების მხრიდან „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების და მის საფუძველზე სამსახურის შესაბამისი მოთხოვნის არაჯეროვნად შესრულების ფაქტები.

სამსახურის მიერ შემოწმების პროცესების ეფექტიანად და სწრაფად განხორციელების მიზნით ხორციელდებოდა სადაზღვევო კომპანიების თემატური შემოწმებები, რომელიც ძირითადად შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა

- **სადაზღვევო რეზერვები**
- **სადაზღვევო მოთხოვნები**
- **დებიტორების გაუფასურების რეზერვი**
- **გადამზღვეველთა მიმართ ვალდებულებები და მოთხოვნები**

შემოწმების შედეგად, გამოვლინდა აღრიცხვიანობის ხარვეზები და კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევები. კომპანიებს მოეთხოვა როგორც სადაზღვევო რეზერვის ოდენობის გაზრდა, აგრეთვე პროგრამული აღრიცხვიანობის და კონტროლის სისტემების დახვეწა, ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგებების დაზუსტება.

ზემოხსენებული შემოწმებების პროცესში მზღვეველების ხელმძღვანელებთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად, განხორციელდა კაპიტალში მნიშვნელოვანი ინვესტიციები და შესაბამისად, კომპანიების გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესება.

2024 წელს განხორციელდა საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ისტორიაში ყველაზე დიდი გარიგება, კერძოდ შეიქმნა ახალი მზღვეველი, რომელმაც შეიძინა არსებული მზღვეველის პორტფელის უდიდესი ნაწილი. აღნიშნული გარიგებიდან გამომდინარე, სექტორში განხორციელებულმა დამატებითმა ინვესტიციამ 30 მლნ. ლარს გადააჭარბა.

2024 წლის განმავლობაში სამსახურის, მსოფლიო ბანკის და სხვადასხვა სფეროს ექსპერტების ერთობლივი მუშაობით, ჩატარდა მორიგი კონკურსი საუკეთესო წლიური ანგარიშგების და გამჭვირვალობის ჯილდოს (BARTA) გამარჯვებული კომპანიების გამოსავლენად.

# საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის განვითარების სტრატეგია

2024 წლის დეკემბერში, დამტკიცდა სამსახურის განვითარების 2025-2029 წწ. სტრატეგია. ასევე, დაიგეგმა სამოქმედო გეგმის შემუშავება. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ხელს შეუწყობს ორგანიზაციის მიზნების მიღწევას და სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ საქმიანობას.ეროვნულ დონეზე ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი სადაზღვევო ბაზრისა და მაღალი სადაზღვევო კულტურის ჩამოყალიბება მოითხოვს სამსახურის მიერ, ქვეყნის მასშტაბით, ეფექტიანი და კეთილსინდისიერი სადაზღვევო პრაქტიკების დამკვიდრების მხარდაჭერას. სექტორის განვითარების პროცესი, ამავდროულად, საჭიროებს საერთაშორისო საუკეთესო მაგალითების გაანალიზებასა და თანამედროვე სადაზღვევო ტენდენციების გათვალისწინებას.

სამსახური მუდმივად აფართოებს პარტნიორთა წრეს ორმხრივი თუ მრავალმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში. თანმიმდევრულად იხვეწება სამსახურის ორგანიზაციული საქმიანობა, იქმნება სადაზღვევო სექტორის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელი ნორმატიული და ინსტიტუციური ბაზა, ასევე, ეტაპობრივად ვითარდება სამსახურის საზედამხედველო მიდგომები და პრაქტიკები.

## კონცეპტუალური ჩარჩო

**მისია**

საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრიის სტაბილური განვითარების ხელშეწყობა, ფინანსურად მყარი, გამჭვირვალე და მომხმარებლის ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული სადაზღვევო სისტემის ინსტიტუციონალიზაცია – კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

**მიზანი**

საზედამხედველო საქმიანობის პროცესის სრულყოფისა და ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ევროდირექტივების სტანდარტების დასანერგად, სამართლებრივი და ინსტიტუციური ბაზის მომზადება.

**ფასეულობები და პრინციპები**

სამსახურის საქმიანობა მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ღირებულებებსა და ფასეულობებს ეფუძნება, რაც მისი ეფექტიანი ფუნქციონირების წინაპირობაა და ორგანიზაციის საქმიანობის ზოგად სტანდარტებს აწესებს.

სამსახურის საქმიანობა მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ღირებულებებსა და ფასეულობებს ეფუძნება, რაც მისი ეფექტიანი ფუნქციონირების წინაპირობაა და ორგანიზაციის საქმიანობის ზოგად სტანდარტებს აწესებს.

- **კეთილსინდისიერება** – საზედამხედველო აქტივობებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეთიკურობის დაცვა და მიუკერძოებლობა, საჯარო ინტერესის პრიორიტეტიზაცია.

- **გამჭვირვალობა** – საზედამხედველო პოლიტიკისა და პროცედურების ღიაობა; ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებთან, დაინტერესებულ მხარეებსა და საზოგადოებასთან გამართული კომუნიკაცია, კანონმდებლობით განსაზღვრული კონფიდენციალურობის წესის დაცვით.

- **სანდოობა და ანგარიშვალდებულება** - სადაზღვევო ინდუსტრიის ეფექტიანი და პასუხისმგებლიანი ზედამხედველობით საზოგადოებაში სანდოობის გაზრდა; მიღებულ გადაწყვეტილებებსა და შედეგებზე პასუხისმგებლობის აღება.

- **თანასწორობა** – თანასწორუფლებიანობის და განურჩევლობის დაცვა, ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობა.

- **გუნდურობა** – საერთო მიზნის მისაღწევად ძალისხმევის გაერთიანება, ტოლერანტულობა და ურთიერთპატივისცემა.

- **მუდმივი განვითარება** – საზედამხედველო პრაქტიკების მუდმივი დახვეწა-გაუმჯობესება, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების მუდმივი გაცნობა, ადაპტირება და დანერგვა ქართულ რეალობაში; ტექნოლოგიური პროგრესის მიმდევრობა.

- **მომხმარებლის ინტერესების დაცვა** – მომხმარებლის უფლებების დაცვის პროცესის მუდმივი დაკვირვება, მომხმარებელზე ორიენტირებული რეგულაციების დანერგვა და ზედამხედველობა.

სამსახურის ღირებულებებისა და პრინციპების დაცვა უზრუნველყოფს, როგორც შიდა მმართველობის ეფექტიანობას, ასევე საზოგადოების ინტერესებზე მუდმივ ორიენტირებას.

## პრიორიტეტული მიმართულებები

**დასახული მისიიდან და მიზნიდან გამომდინარე, სამსახურმა, 2025 – 2029 წლებისთვის, განსაზღვრა საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები და შესრულებისთვის აუცილებელი ამოცანები.**

**პრიორიტეტული მიმართულება I**
ორგანიზაციის ეფექტიანი მართვა და განვითარება
ამოცანა 1 სტრატეგიული მართვის ციკლის ინსტიტუციონალიზაცია
ამოცანა 2 ადამიანური კაპიტალის მართვის სისტემის შემდგომი განვითარება
ამოცანა 3 ადმინისტრაციული საქმიანობის შემდგომი განვითარება;
ამოცანა 4 საინფორმაციო – ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარება
ამოცანა 5 სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა
ამოცანა 6 საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესება

**პრიორიტეტული მიმართულება II**
საზედამხედველო საქმიანობის შემდგომი განვითარება
ამოცანა 1 საზედამხედველო პოლიტიკის დახვეწა-განვითარება
ამოცანა 2 საზედამხედველო საქმიანობაში გადახდისუნარიანობა 2-ს (SOLVENCY II ) სტანდარტების დანერგვისთვის მომზადება
ამოცანა 3 საზედამხედველო პროცესებისა და პროცედურების დახვეწა
ამოცანა 4 საზედამხედველო პროცესების ეტაპობრივი ავტომატიზაცია;
ამოცანა 5 ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების პრევენციის მექანიზმების დახვეწა
ამოცანა 6 სალიცენზიო/სარეგისტრაციო პროცესის წარმართვა
ამოცანა 7 საზედამხედველო ნორმატიული ბაზის განვითარება

**პრიორიტეტული მიმართულება III**
მომხმარებლის უფლებების დაცვისა და ფინანსური განათლების მხარდაჭერა
ამოცანა 1 მომხმარებლის უფლებების დაცვის ხელშეწყობა
ამოცანა 2 ევრო დირექტივებთან ეტაპობრივი დაახლოება
ამოცანა 3 მომხმარებლის დაცვის ეროვნული სტრატეგიის მხარდაჭერა
ამოცანა 4 სადაზღვევო საკითხებზე ცნობიერების ამაღლება
ამოცანა 5 ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მხარდაჭერა

**პრიორიტეტული მიმართულება IV**
სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარების მხარდაჭერა და თანამშრომლობის გაღრმავება
ამოცანა 1 ჯანსაღი კონკურენციის მხარდაჭერა
ამოცანა 2 ეროვნულ დონეზე თანამშრომლობის გაღრმავება
ამოცანა 3 საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება
ამოცანა 4 საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მუდმივი ანალიზი
ამოცანა 5 დონორებთან კოორდინაციის განვითარება

# ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა

სამსახური უზრუნველყოფს სადაზღვევო ორგანიზაციების, საპენსიო კომპანიების და სადაზღვევო ბროკერების ზედამხედველობას, მათ მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სამმართველოს მეშვეობით.

სამსახურში დანერგილი ზედამხედველობის პრინციპების გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში დამუშავდა სადაზღვევო ორგანიზაციების, საპენსიო კომპანიების და სადაზღვევო ბროკერების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების 2023 წლის წლიური და 2024 წლის პირველი ნახევარი წლის ამსახველი ფორმები. ხოლო მათი დამუშავების შედეგად აღმოჩენილი დარღვევების შესაბამისად, აღნიშნული სუბიექტების მიმართ სამსახურმა გამოიყენა ფულადი ჯარიმები და/ან წერილობითი გაფრთხილებები.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა ადგილზე ინსპექტირების გზით შეამოწმა ერთი სადაზღვევო ბროკერი.

საანგარიშო პერიოდში, სამსახური აქტიურად იყო ჩართული ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (Moneyval) კომიტეტის მიერ ინიცირებულ საქართველოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების ეროვნული სისტემის მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიშით იდენტიფიცირებული შედეგების გაძლიერებული follow-up მონიტორინგის პროცესში, რომლის ფარგლებში შემუშავდა და დამტკიცდა “ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის საკითხებში სადაზღვევო ორგანიზაციების, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების და სადაზღვევო ბროკერების ადგილზე შემოწმების ინსტრუქცია“.

2024 წლის სექტემბრის თვეში, სამსახურის ინიციატივით/მონაწილეობით და ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ მხარდაჭერით, მზღვეველებისთვის, სადაზღვევო ბროკერებისა და საპენსიო კომპანიებისთვის ჩატარდა ტრენინგი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის თემაზე, რომელიც მორგებული იყო სადაზღვევო სექტორზე.

სამსახურის უფროსის შესაბამის ნორმატიულ აქტში შეტანილი ცვლილებებით განისაზღვრა სადაზღვევო ბროკერისთვის ან/და ადმინისტრატორისათვის დაკისრებული ფულადი ჯარიმის ოდენობა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობის დარღვევისათვის, ასევე ცვლილები შევიდა “მზღვეველის მიმართ ფულადი ჯარიმის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესში”, რითაც შეიქმნა სანქცირების მექანიზმი გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებული ფინანსური სანქციების შეუსრულებლობისათვის.



# აქტუარული პროფესიის განვითარება

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში, 2023 წელს, შესული ცვლილებების თანახმად, 2025 წლის 1 იანვრიდან, მზღვეველებისთვის სავალდებულო გახდა აქტუარის არსებობა კომპანიაში. უნდა აღინიშნოს, რომ აქტუარის პროფესია ფართოდ არის აპრობირებული საერთაშორისო პრაქტიკაში და ემსახურება მზღვეველის ფინანსური გათვლების სათანადოობის უზრუნველყოფას და, ზოგადად, მისი გადახდისუნარიანობის და ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. 2024 წელს, სამსახურმა უმასპინძლა აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაციის (AAFA — Association of Actuaries and Financial Analysts) ორგანიზებით ჩატარებულ ღონისძიებას.




შეხვედრას უძღვებოდა ჩეხეთის აქტუარული საზოგადოების თავმჯდომარე იან შვაბი, რომელმაც სამსახურისა და სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებს გაუზიარა ევროკავშირში არსებული სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა აქტუარის კვალიფიკაციასა და წლიურ აქტუარულ რეპორტთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, სამსახურის აქტუარმა მონაწილეობა მიიღო ბოსნიასა და ჰერცოგოვინის ფედერაციის ქალაქ სარაევოში, მსოფლიო აქტუარების ასოციაციის (Actuaires du Monde) მიერ ორგანიზებულ აქტუარულ კონგრესში. კონგრესზე განიხილეს აქტუარულ პროფესიასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. მათ შორის, სიცოცხლისა და არასიცოცხლის დაზღვევის გამოწვევები ინფლაციის, საპროცენტო განაკვეთთან, ლიკვიდობასა და საკრედიტო რისკებთან დაკავშირებით, საპენსიო სქემები, სიღარიბის შემცირებისთვის ინკლუზიური დაზღვევის სუბსიდირება, ESG აქტუარებისთვის ინკლუზიურ სამყაროში, სოციალური მდგრადობა დაზღვევა ხელოვნური ინტელექტის სამყაროში, მდგრადი ფინანსები და სხვა.

იმის გათვალისწინებით, რომ აქტუარი საქართველოს შრომით ბაზარზე იშვიათი და დეფიციტური პროფესიაა, ამ დრომდე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არ არსებობდა შესაბამისი სპეციალური სასწავლო კურსი, რაც შესაძლებელს გახდიდა ამ მიმართულებით მომხდარიყო კვალიფიციური კადრების მომზადება. აღსანიშნავია, რომ სამსახურში დასაქმებული აქტუარის უშუალო ჩართულობით, 2024 წლის 1 ოქტომბრიდან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისწავლება „არასიცოცხლის დაზღვევის აქტუარული მათემატიკის“ კურსი. კურსი, თავის მხრივ, წამოიწყო აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაციამ (აფაა), რომლის პროგრამა შემუშავებულია საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიცირებული ანალიტიკოსი აქტუარის (CAA) კვალიფიკაციის მოთხოვნების შესაბამისად და რომელსაც უძღვებიან სადაზღვევო სფეროში მომუშავე წამყვანი სპეციალისტები, მათ შორის სამსახურის აქტუარი.

ზემოაღნიშნული კურსი დაიგეგმა ისე, რომ მასში მონაწილეობა მიიღონ როგორც სტუდენტებმა, ასევე ნებისმიერმა პირებმა, რომელებსაც სურთ აქტუარის პოზიციაზე მუშაობა. სწავლება არის უფასო და კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, გაიცემა კურსის გავლისა და გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატები. სიახლის მიუხედავად, კურსმა დიდი ინტერესი გამოიწვია და 70 მსურველი დარეგისტრირდა, მათ შორის, როგორც სტუდენტები, ისე სადაზღვევო კომპანიების თანამშრომლები, რომლებიც აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში.

## სამართლებრივი ბაზის განვითარება/საკანონმდებლო პროცესი

2024 წელს, სამსახურმა აქტიურად გააგრძელა მუშაობა სამართლებრივი ბაზის განვითარების მიმართულებით.

„ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, შემუშავდა და დადგენილ ვადაში გამოიცა ამ კანონით გათვალისწინებული ყველა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რაც ქმნის ნორმატიულ საფუძველს საქართველოში ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სისტემის განვითარებისათვის. ხსენებული კანონით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების მომზადების მიზნით, სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ეკონომიკისა დამდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებთან და აზიის განვითარების ბანკის ექსპერტებთან. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო პროცესში მიზანშეწონილად ჩაითვალა ერთმანეთთან კვეთაში მყოფი რიგი საკითხების გაერთიანება და ერთ აქტად გამოცემა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა გამოსცა და სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

**ბრძანება №73** „საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს წევრების შესაფერისობის კრიტერიუმების დადგენის შესახებ“ (23.12.2024წ.);

**ბრძანება №74** „კერძო პენსიის ხელშეკრულების დამატებითი პირობებისა და მოთხოვნების დადგენის შესახებ“ (23.12.2024წ.);

**ბრძანება №75** „იმ ქვეყნების ჩამონათვალის დადგენის შესახებ, რომლებშიც საპენსიო საქმიანობა სათანადოდ არის რეგულირებული” (23.12.2024წ.);

**ბრძანება №76** „პირად საპენსიო ანგარიშებზე საპენსიო შენატანების, გადასახდელებისა და საკომისიოების აღრიცხვის წესის, აგრეთვე ინფორმაციის ხანგრძლივ მატარებელზე შენახვის და მიწოდების წესის დადგენის შესახებ“ (23.12.2024წ.);

**ბრძანება №77** „რისკების მართვის წესების დადგენის თაობაზე“ (23.12.2024წ.);

**ბრძანება №78** „საპენსიო კომპანიის კაპიტალის მინიმალური ოდენობის, საკუთარი კაპიტალის განსაზღვრის მინიმალური მოთხოვნების და მათი დადგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ (23.12.2024წ.);

**ბრძანება №79** „საპენსიო სქემის მონაწილეთა წმინდა აქტივების ღირებულების გამოთვლის მეთოდოლოგიის დადგენის თაობაზე“ (23.12.2024წ.);

**ბრძანება №80** „საპენსიო აქტივების გადატანის წესის დადგენის შესახებ“ (23.12.2024წ.);

**ბრძანება №81** „საპენსიო კომპანიასა და მზღვეველში მონაწილეებისა და ბენეფიციარების პრეტენზიების განხილვის და გადაწყვეტის მექანიზმის მინიმალური მოთხოვნებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დადგენის შესახებ“ (23.12.2024წ.);

**ბრძანება №82** „საპენსიო სქემის მონაწილეებისთვის ინფორმაციის/დოკუმენტების შედგენის და მიწოდების წესისა და მონაწილეებისთვის, პოტენციური მონაწილეებისა და ბენეფიციარებისთვის მისაწოდებელი საპენსიო სქემის (საპენსიო სქემის წესების) მოკლე აღწერილობის მოთხოვნების დადგენის შესახებ“ (23.12.2024წ.);

**ბრძანება №83** „უცხო ქვეყნის საპენსიო ორგანიზაციის აღიარების და ცალკეული მოთხოვნების შესრულებისგან გათავისუფლების პროცედურისა და წესის დადგენის შესახებ“ (23.12.2024წ.);

**ბრძანება №84** „ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების რეესტრის წარმოების წესის დადგენის თაობაზე" (23.12.2024წ.);

**ბრძანება №85** „საპენსიო კომპანიის საოპერაციო გეგმის ძირითადი მონაცემების განსაზღვრის წესის დადგენის შესახებ" (24.12.2024წ.);

**ბრძანება №86** „საპენსიო კომპანიისა და მზღვეველის მიმართ ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისა და დაკისრების წესის დადგენის თაობაზე" (24.12.2024წ.);

**ბრძანება №87** „საპენსიო კომპანიების შერწყმის წესის დადგენის თაობაზე"(26.12.2024წ);

**ბრძანება №88** „პენსიის პროგრამული გატანის წესის დადგენის შესახებ" (26.12.2024წ);

**ბრძანება №89** „საპენსიო აქტივების ინვესტირების წესის დადგენის თაობაზე" (26.12.2024წ);

**ბრძანება №90** „საპენსიო კომპანიის ლიკვიდატორის შესაფერისობის კრიტერიუმების, კომპენსაციისა და ლიკვიდატორის მიერ საქმიანობის განხორციელების წესის დადგენის შესახებ" (26.12.2024წ).

წინა წლების მსგავსად, თანამშრომლობა გაგრძელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, მათ მიერ ინიცირებული **„ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ"** საქართველოს კანონის პროექტის და მისგან გამომდინარე, თანმდევ ცხრა კანონპროექტთან დაკავშირებით, უწყებებიდან მიღებული შენიშვნების დამუშავების მიმართულებით.

მომზადდა **„სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შექმნისა და მასთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს ჩამოყალიბების შესახებ"** საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის №102 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომლის შემუშავება განაპირობა 2023 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ ზემოხსენებული „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის და „ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამ, ასევე, ამ კანონებიდან გამომდინარე „დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონში იმავე წელს შეტანილმა ცვლილებებმა. ზემოხსენებული კანონებით განისაზღვრა სამსახურის დამატებითი უფლებამოსილებები და ფუნქციები და ამდენად, სამსახურის დებულება შესაბამისობაში მოვიდა აღნიშნულ ნორმატიულ აქტებთან, კერძოდ:

**„ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ"** საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სუბიექტებზე, ზედამხედველ უწყებად განისაზღვრა სამსახური, დადგინდა მისი დამატებითი უფლებამოსილებები, მათ შორის საპენსიო კომპანიის და მზღვეველის, როგორც საპენსიო სქემის დამფუძნებლის და მათი ადმინისტრატორების მიმართ იმავე კანონით გათვალისწინებული სანქციების გამოყენების უფლებამოსილება. ასევე, დაზუსტდა და განისაზღვრა, რომ სადაზღვევო საქმიანობის და დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის რეგულირებისათვის ინსტრუქციებისა და ნორმატიული აქტების შემუშავებისა და გამოცემის გარდა, სამსახურის უფლებამოსილებაში შედის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე დაადგინოს და დაარეგულიროს „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე შესაბამისი საკითხები;

**„ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ"** საქართველოს კანონით დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს მიენიჭა უფლებამოსილება განახორციელოს დამატებითი ზედამხედველობა ფინანსური კონგლომერატის დონეზე, მასში შემავალი რეგულირებული პირების მიმართ შესაბამისი კომპეტენციის გათვალისწინებით. გაფართოვდა სამსახურის ფუნქციები, კერძოდ, შესაბამის საზედამხედველო ორგანოებთან ერთად, სამსახური უფლებამოსილია მიიღოს „ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები/ზომები, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, გამოსცეს ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ამავე კანონის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში ცვლილებები შევიდა სამსახურის მიერ გამოცემულ არაერთ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში, მათ შორის:

**ცვლილება შევიდა სამსახურის უფროსის 2016 წლის 16 სექტემბრის №16 ბრძანებით დამტკიცებულ „მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის გაანგარიშების წესში“.** ცვლილების მიზანია, სადაზღვევო ორგანიზაციებს მიეცეთ ინვესტიციების მოზიდვის მეტი შესაძლებლობა და მათ მიერ მოზიდული სუბორდინირებული სესხი ჩაითვალოს საზედამხედველო კაპიტალში (როგორც ეს დაშვებულია საბანკო სექტორში და საერთაშორისოდ აპრობირებულია დაზღვევის სფეროში, მათ შორის ევროკავშირის წევრ ქვეყნებში). ასევე, გათვალისწინებულია მზღვეველების სურვილი და საქართველოს ფინანსურ სექტორში მსგავსი მიდგომის არსებობა. როგორც ცნობილია, სუბორდინირებული სესხისთვის დამახასიათებელია გადახდის (დაფარვის) უფრო დაბალი პრიორიტეტი სხვა სესხებთან შედარებით.

შესაბამისად, კომპანიის მძიმე ფინანსური მდგომარეობის, გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, სუბორდინირებული სესხის კრედიტორის მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ყველა სხვა არა აქციონერ კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების (დაფარვის) შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სუბორდინირებული სესხი, მისი ბუნებით, აღიქმება როგორც კაპიტალთან მიახლოებული. გარდა ამისა, ცვლილებით ნორმატიულ აქტს დაემატა განმარტება, თუ რა ტიპის სესხი განიხილება სუბორდინირებულ სესხად; ასევე, დაემატა ჩანაწერი, რომლითაც დადგინდა კაპიტალში ჩასართავად სუბორდინირებული სესხის დასაშვები ჯამური ოდენობა როგორც ვადიანი, ისე უვადო სუბორდინირებული სესხისათვის; დეტალურად გაიწერა მოთხოვნები, რომელსაც სუბორდინირებული სესხი უნდა აკმაყოფილებდეს მისი კაპიტალში ჩასართავად, მათ შორის, სამსახურთან შეთანხმების მექანიზმი და ვადები, როგორც კაპიტალში ჩართვის, ისე მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანის შემთხვევისთვის. გარდა ამისა, მზღვეველებს დაეკისრა ვალდებულება უზრუნველყონ ცვლილებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა სუბორდინირებული სესხის მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალში ჩართვის მთელი პერიოდის განმავლობაში. გარდა ამისა, ვინაიდან ზემოაღნიშნული წესი ითვალისწინებს მზღვეველის ვალდებულებას, საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის ანგარიშგება წარუდგინოს სამსახურს, შესაბამისი ცვლილება შევიდა ამავე წესის №1 დანართში და სუბორდინირებულ სესხთან დაკავშირებული ინფორმაციის მისათითებლად, დაემატა შესაბამისი ველი;

**ცვლილება შევიდა სამსახურის უფროსის 2016 წლის 16 სექტემბრის №15 ბრძანებით დამტკიცებულ „სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისას მზღვეველის მიერ გადახდისუნარიანობის მარჟის გაანგარიშების წესში“.** აღნიშნული გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზით: როგორც ცნობილია, სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის სახეობა გამოირჩევა ზარალების მაღალი სიხშირით და სხვა სახეობებთან შედარებით მაღალი ზარალიანობის კოეფიციენტით. ამავე დროს, აღნიშნულ სახეობაში სადაზღვევო შემთხვევების რეგულირება, სხვა სახეობებთან შედარებით, მნიშვნელოვნად სწრაფად ხდება.

ცვლილების თანახმად, გადახდისუნარიანობის მაჩვენებლის გაანგარიშება ხდება საანგარიშო წლის ბოლოს, ბოლო 3 წლის ზარალების და პრემიების მაჩვენებლების გათვალისწინებით, რამაც უნდა უზრუნველყოს სამომავლო საქმიანობისთვის და მოულოდნელი შემთხვევებისთვის მზღვეველის სათანადოგადახდისუნარიანობა. აღნიშნული მიდგომით, პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობებისთვის (რომლებიც მაღალი განუსაზღვრელობით გამოირჩევა) გათვალისწინებულია შესწორების კოეფიციენტი 1.5, ხოლო სხვა სახეობებისთვის 1. ამავე დროს,

ცნობილია, რომ საანგარიშო წლის ბოლოს ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობის ნაწილში შემთხვევები თითქმის სრულად გაცხადებულია და შექმნილია შესაბამისი რეზერვები, ხოლო გასული წლიდან დამდგარ ზარალებზე და მოქმედ პოლისებზე მნიშვნელოვანი ცდომილებების ალბათობა მინიმალურია. მიუხედავად ამისა, მზღვეველებს სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის სახეობაში მაინც უწევთ გადახდისუნარიანობის მაჩვენებლის გაანგარიშება 1.0 შესწორების კოეფიციენტით, რაც თავის მხრივ ზრდის საზედამხედველო მოთხოვნას, შესაბამისად ჯანმრთელობის დაზღვევის თვითღირებულებასაც. აღნიშნული დაკავშირებულია არა მომსახურებისთვის საჭირო დანახარჯებთან, არამედ საზედამხედველო მოთხოვნასთან და გარკვეულწილად აძვირებს ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის სახეობისთვის შესწორების კოეფიციენტი განისაზღვროს 0.5-ით;

**ცვლილება შევიდა სამსახურის უფროსის 2017 წლის 3 აპრილის №18 ბრძანებით დამტკიცებულ „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციაში“**. შედეგად,განისაზღვრა მზღვეველის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემდეგ შესასრულებელი დამატებითი ვალდებულებები, რომელიც უზრუნველყოფს სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებლის ინტერესების უკეთეს დაცვას.

**ცვლილება შევიდა სამსახურის უფროსის 2019 წლის 25 სექტემბრის №35 ბრძანებით დამტკიცებულ „სადაზღვევო ბროკერის ან/და ადმინისტრატორის მიმართ ფულადი ჯარიმის ოდენობის დადგენისა და დაკისრების წესში“,** რომლითაც განისაზღვრა სამსახურის უფლებამოსილება, სადაზღვევო ბროკერის ან/და ადმინისტრატორის მიმართ გამოიყენოს იმავე წესით დადგენილი ფულადი ჯარიმები, თუ სადაზღვევო ბროკერმა ან/და მისმა რომელიმე ადმინისტრატორმა დაარღვია „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის ან/და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნები.

**ცვლილება შევიდა სამსახურის უფროსის 2015 წლის 17 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებულ „მზღვეველის მიმართ ფულადი ჯარიმის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესში“**, რომლითაც განისაზღვრა სამსახურის უფლებამოსილება, სადაზღვევო ორგანიზაციის და/ან მისი ადმინისტრატორის მიმართ გამოიყენოს იმავე წესით დადგენილი ფულადი ჯარიმები, თუ მზღვეველმა და/ან მისმა რომელიმე ადმინისტრატორმა დაარღვია „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, „ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, „ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19, 21-ე და 24-ე მუხლების ან/და 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

2024 წლის 9 ივლისს გამოიცა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაცია №6 „იმ მზღვეველების ინფორმაციული უსაფრთხოების სტრატეგიისა და ჩარჩოს ფუნდამენტური ელემენტების თაობაზე, რომლებიც არ განეკუთვნებიან მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციულისისტემის სუბიექტებს“. აღნიშნული რეკომენდაციის მიზანია იმ მზღვეველებისთვის, რომლებიც არ განეკუთვნებიან მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებს, დადგინდეს ინფორმაციული უსაფრთხოების სტრატეგიისა და ჩარჩოს ფუნდამენტური ელემენტები ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების ჯეროვანი მართვის მიზნით, რათა მზღვეველმა უზრუნველყოს ინფორმაციის დამცავი და უსაფრთხოების კონტროლის ადეკვატური მექანიზმების დანერგვა და დაინტერესებული მხარეების ნდობის განმტკიცება.

საანგარიშო პერიოდში, 2024 წლის 8 ივლისს სამსახურმა გამოსცა რეკომენდაცია №5 „ზიანის დაზღვევისას, უხეში გაუფრთხილებლობის საფუძვლით სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის თაობაზე, მომხმარებლის ინფორმირების შესახებ“. რეკომენდაციით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება უზრუნველყოფს გამჭვირვალე სახელშეკრულებო პირობების არსებობას, რაც თავის მხრივ, მომხმარებლის უფლებების დაცვისა და მზღვეველის მიმართ ნდობის გამტკიცების, საბოლოო ჯამში კი, სადაზღვევო ბაზრის განვითარების გარანტიაა.

2024 წელს სამსახურმა დაამუშავა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მომზადებული შემდეგი ნორმატიული აქტების პროექტები:
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების პროექტი „ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე“; საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების პროექტი „აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირების, რეგისტრაციის,აღიარებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე”.

2024 წლის 30 მაისს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა გამოსცეს ერთობლივი ბრძანება **„ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მარჟის დამატებითი მოთხოვნების გამოთვლის წესის დამტკიცების შესახებ“**, რაც გამომდინარეობდა **„ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან,** რომლის თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკი და სამსახური ერთობლივად განისაზღვრა საზედამხედველო უწყებად.

# საერთაშორისო თანამშრომლობა

2024 წელს, გაგრძელდა თანამშრომლობა დაზღვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციასთან (IAIS – International Association of Insurance Supervisors), რომლის წევრობის ფარგლებში სამსახური ყოველთვის აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა ღონისძიებებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია IAIS-ის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც 2024 წელს გაიმართა სამხრეთ აფრიკის ქ. კეიფ-თაუნში სამსახურის წარმომადგენლების მონაწილეობით.

IAIS International Association of Insurance Supervisors




**აღმასრულებელი კომიტეტი- EXCO**

ღონისძიებას სამხრეთ აფრიკის სარეზერვო ბანკის და ფინანსური სექტორის ადმინისტრაციამ უმასპინძლა და ტრადიციულად მოიცავდა IAIS-ის წლიურ გენერალურ შეხვედრას, დარგობრივი კომიტეტების შეხვედრებს და ყოველწლიურ კონფერენციას. 2024 წლის ღონისძიება სამსახურისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ 5 დეკემბერს, IAIS-ის აღმასრულებელი კომიტეტის (ExCo — Executive Comittee) სხდომაზე, აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი დავით ონოფრიშვილი დაამტკიცეს ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპისა და ამიერკავკასიის (CEET – Central, Eastern Europe and Transcaucasia) რეგიონის წარმომადგენელ კომიტეტის წევრად, ორი წლის ვადით.






CEET რეგიონი აერთიანებს ევროკავშირის 11 წევრს ქვეყანას (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ხორვატია, სლოვენია, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი), ევროკავშირის წევრობის კანდიდატ 9 ქვეყანას (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, თურქეთი, სერბეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ალბანეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, მონტენეგრო) და ევროკავშირის არაწევრ 7 ქვეყანას (ისრაელი, ყაზახეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ასევე რუსეთი და ბელარუსი - რომელთაც შეჩერებული აქვთ ასოციაციის წევრობა), სადაც რეგიონიდან გამომდინარე, გაწევრიანებულია საქართველოც.

IAIS-ის წესდების მიხედვით, ExCo-ში წარმომადგენლების რაოდენობა თითოეული რეგიონის სიდიდით განისაზღვრება, შესაბამისად, CEET რეგიონს ExCo-ში ორი წევრის ყოლის უფლება აქვს, რომელთაგან, ამჯერად, სლოვენიელ კოლეგასთან ერთად, ერთ-ერთი წევრი დავით ონოფრიშვილი გახდა.კომიტეტის წევრობის ძირითადი მიზანია CEET რეგიონის ქვეყნების ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა და მათი
პრიორიტეტების გათვალისწინება ასოციაციის საქმიანობის პროცესში. ExCo-ში წარმომადგენლობა ახალი და მნიშვნელოვანი ეტაპია როგორც ქვეყნისთვის, ასევე სამსახურისთვის, მით უფრო, რომ ევროკავშირის არა წევრი ქვეყნის წარმომადგენლის არჩევა პირველად მოხდა ExCo-ში. აღნიშნული გადაწყვეტილება ახალ შესაძლებლობებს ქმნის საქართველოსთვის რეგიონში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების, გამოცდილების გაზიარებისა და გლობალური სტანდარტების შესაბამისი მიდგომების დანერგვისთვის. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს საერთაშორისო სადაზღვევო სისტემაში საკუთარი როლის გაძლიერებისთვის, რაც გაზრდის შესაძლებლობებს მსოფლიოს ლიდერ სახელმწიფოებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობისთვის, რაც საქართველოს სადაზღვევო სექტორს მეტად კონკურენტუნარიანსა და მდგრადს გახდის. ExCo-ს შემდგომი საქმიანობა გაგრძელდება უკვე სამსახურის აქტიური ჩართულობით და მონაწილეობით.




IAIS-ის 2024 წლის წლიური ღონისძიების ფარგლებში, გაიმართა 6 მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრა, დაზღვევის სფეროს/ფინანსური სექტორის სხვა და სხვა წარმომადგენლების ჩართულობით, გაფართოებული დისკუსიების ფორმატში თემაზე – დაზღვევის როლი გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG –Sustainable Development Goals) მიღწევასა და მხარდაჭერაში, სადაც თემაზე „არა-სიცოცხლის დაზღვევის მიმართულება და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები", დისკუსიას ასოციაციის შეთავაზებით სამსახურის უფროსის მოადგილე, ეკატერინე წერეთელი წარუძღვა.

დისკუსიების ფარგლებში ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე: დაზღვევის სექტორის საშუალებით სიღარიბის დაძლევა, სოციალური უთანასწორობის შემცირება, ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა, ღირსეული სამუშაო, კლიმატურ ცვლილებებთან ბრძოლა, სტიქიური მოვლენების რისკების შემცირება და ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფა, სადაზღვევო სისტემის როლი გლობალური მიზნების მიღწევაზე. მონაწილეებმა ზემოხსენებული მიმართულებით, ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილებები, არსებული გამოწვევები და სამომავლო ხედვები, გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებები და სამუშაოები, რჩევები, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს და დაჩქარდეს კოორდინირებული მუშაობა გლობალური მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად დადგენილ ვადებში. (2030 წელი)

აღსანიშნავია, რომ მოცემულ მიმართულებას ვრცლად ეხება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „საქართველოს განვითარების სტრატეგია-ხედვა 2030", სადაც ხაზგასმულია სადაზღვევო ინსტრუმენტების როლი და მათი გავლენა გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა გააგრძელა IAIS-ის მრავალმხრივი ურთიერთგაგების მემორანდუმის (MMoU -Multilateral Memorandum of Understanding on Cooperation and Information Exchange) ხელმოწერისთვის ოფიციალურად გაკეთებულ განაცხადზე მუშაობა, რაც გამოიხატა სხვადასხვა სახის ინფორმაციის ურთიერთგაცვლაში სამსახურსა და სპეციალურ შემფასებელ ჯგუფს შორის. სპეციალური შემფასებელი ჯგუფის მიერ შემუშავდა მემორანდუმის ხელმოწერაზე გაკეთებული განაცხადის დადასტურების ანგარიშის პროექტი და ამჟამად სამსახური დასკვნითი შეფასების პროცესში იმყოფება. პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია და ეფუძნება ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის და მიდგომების არსებით შესწავლას, რაშიც სამსახური აქტიურად არის ჩართული. აღნიშნული მემორანდუმი წარმოადგენს დაზღვევის ზედამხედველებს შორის თანამშრომლობის გლობალურ ჩარჩოს ინფორმაციის ურთიერთგაცვლისთვის, რომლის ხელმომწერ ქვეყნებს შეუძლიათ, მემორანდუმით გათვალისწინებულ საკითხებზე გამოითხოვონ და მიიღონ შესაბამისი კონფიდენციალური ინფორმაცია, მემორანდუმით გათვალისწინებული წესით და პირობებით. აღსანიშნავია, რომ MMoU-ში გაწევრიანებულია მსოფლიო სადაზღვევო ბაზრის ზედამხედველთა დიდი ნაწილი.

სამსახურის უფროსი, დავით ონოფრიშვილი 2019 წლიდან არის IAIS-ის იმპლემენტაციის და შეფასების კომიტეტის წევრი (IAC - Implementation and Assessment Committee), სადაც უშუალოდ არის ჩართული სამუშაო პროცესში სამსახურისა და ქვეყნის სახელით. აღნიშნული კომიტეტის წევრობის ფარგლებში, 2024 წელს ოთხი შეხვედრა ჩატარდა როგორც ფიზიკურ (მათ შორის, კეიფ-თაუნში და ბაზელში), ისე ვირტუალურ ფორმატში. საანგარიშო პერიოდში, სამუშაო შეხვედრების განსახილველი თემატიკა იყო: დაზღვევის სექტორში ასოციაციის წევრი ქვეყნების სადაზღვევო ბაზრის განვითარების შეფასება დაზღვევის ძირითად პრინციპებთან (ICP — Insurance Core Principles) მიმართებაში, რაც ასევე კომიტეტის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა. ასევე, საერთაშორისოდ მოქმედი სადაზღვევო ჯგუფების ზედამხედველობის ერთიანი ჩარჩოს შესახებ მემორანდუმის შემუშავება, რისკზე დაფუძნებული გადახდისუნარიანობის (RBS - risk-based solvency) რეჟიმზე გადასვლის შესახებ სახელმძღვანელო, რაც იძლევა მითითებებს RBS რეჟიმის წყობის და ასეთი რეჟიმის განხორციელების პროცესში საკვანძო მოსაზრებების თაობაზე.

ასოციაციის 2025-2029 წლების სამოქმედო გეგმის საკითხები: ციფრული ინოვაციები და კიბერ რისკები, ახალი პროექტი სადაზღვევო სფეროში მომხმარებლების სამართლიანი მოპყრობისა და ოპერაციული გამძლეობის შესახებ და მისი სტანდარტების გაუმჯობესება, კლიმატთან დაკავშირებული საზედამხედველო რისკები და ინკლუზიური დაზღვევა სხვადასხვა ბაზარზე.




NAIC

2024 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების დაზღვევის ზედამხედველთა ეროვნულმა ასოციაციამ (NAIC - National Association of Insurance Commissioners) უმასპინძლა საერთაშორისო ფორუმს, სადაც სამუშაოვიზიტით იმყოფებოდა სამსახურის უფროსი. შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების ქ. ვაშინგტონში გაიმართა.

IOPS

2024 წელს, თანამშრომლობა გაგრძელდა საპენსიო ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციასთან (IOPS - The International Organization of Pension Supervisors ) და სამსახური, როგორც IOPS-ის წევრი დაესწრო ინდონეზიაში, ქ. იოგიაკარტაში, გამართულ საერთაშორისო კონფერენციას/მრგვალი მაგიდა - აზიაში ნებაყოფლობითი (კერძო) საპენსიო დანაზოგების თაობაზე. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, აზიის განვითარების ბანკი და ინდონეზიის ფინანსური რეგულატორი. ღონისძიებამ მოიცვა აზიის რეგიონულ ჭრილში არსებული გამოწვევები, რაც არსებითად მნიშვნელოვანი პრაქტიკაა მასშტაბის და გამოწვევების გათვალისწინებით.

შეხვედრაზე განიხილეს რეგიონის გამოცდილება სადაზღვევო/საპენსიო სექტორის რეგულირების მიმართულებით, მათი ინსტიტუციური მოწყობა და სადაზღვევო ბაზრის მონაცემები, სხვადასხვა ქვეყნის მარეგულირებლებმა წარმოადგინეს საკუთარი ხედვები, განიხილეს ის გამოწვევები, რომელსაც აწყდებიან მზარდი რისკების ფონზე. განხილულ საკითხთა შორის აღსანიშნავია აზიის ქვეყნების ფინანსური სექტორის მარეგულირებელი ორგანოებისმიერ მათ იურისდიქციებში არსებული ბაზრის განვითარების მიმართულებები და არსებული გამოწვევები, რისკები და მათზე რეაგირების შესაძლებლობები, დაზღვევა კლიმატური ცვლილებების პირობებში,ფინანსური დაცვის ხარვეზები საპენსიო დანაზოგების და ბუნებრივ საფრთხეების დროს, ტექნოლოგიების გამოყენება დაზღვევისა და საპენსიო შეთავაზებების მიწოდების გასაუმჯობესებლად.

2024 წელს, წინა წლების მსგავსად, გაგრძელდა ევროპის დაზღვევისა და პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ორგანოსთან (EIOPA – European Insurance and Occupational Pensions Authority) თანამშრომლობა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, სამსახური, მათი მოწვევით, სისტემატურად მონაწილეობს მათ მიერ გამართულ შეხვედრებსა და ღონისძიებებში – რაც მეტ მნიშვნელობას სძენს აღნიშნულ თანამშრომლობას.

საანგარიშო პერიოდში, სწორედ EIOPA-ს მოწვევით, სამსახურის უფროსი გერმანიის ფედერაციის ქ. ფრანკფურტში დაესწრო კონფერენციას, რომელიც მიზნად ისახავდა ევროკავშირის რისკზე დაფუძნებული სადაზღვევო კანონმდებლობის ადაპტირების და დანერგვის ინტერესის მქონე აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ ბალკანეთის ტერიტორიაზე არა ევროკავშირისა და ევროპის ეკონომიკური ზონის (non-EEA) იურისდიქციებთან თანამშრომლობის გაძლიერებას. კონფერენციაზე ისაუბრეს რეგულირებისა და საზედამხედველო პრაქტიკის შესახებ, განიხილეს რეგიონებს შორის ინფლაციის გავლენა, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ბუნებრივი კატასტროფები და მათი გავლენა დაზღვევაზე, რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობა და ცვალებად გარემოში მისი კონტროლი, ასევე გადახდისუნარიანობა 2-ის გარშემო არსებული სიახლეები.

ანტე ზიგმანი – ხორვატიის ფინანსური მომსახურების ზედამხედველობის საბჭოს პრეზიდენტი



დავით ონოფრიშვილი – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი

ივან ლუბურიჩი – ბოსნია ჰერცოგოვინას დაზღვევის ზედამხედველობის სააგენტოს ხელმძღვანელი

2024 წელს, უნგრეთში, ქ. ბუდაპეშტში სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ევროპის ფინანსური ბაზრების სამი საზედამხედველო უწყების (ESAs – European Supervisory Authorities) მიერ ორგანიზებულ მე-11 ყოველწლიურ ღონისძიებაში, რომელიც ეძღვნებოდა ფინანსურ სექტორში მომხმარებლის დღეს. ღონისძიების ძირითადი თემაიყო ხელოვნური ინტელექტი ფინანსურ სექტორში, ფინანსურ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მისი ეფექტური ზედამხედველობა.

საანგარიშო პერიოდში, კვლავ უნგრეთის ქ. ბუდაპეშტში, უნგრეთის ეროვნულმა ბანკმა უმასპინძლა IAIS-ის CEET რეგიონის შეხვედრას – „საზედამხედველო აქცენტი მომდევნო წლებში: კლიმატის ცვლილება, ციფრული ინოვაცია და გადახდისუნარიანობა 2", სადაც სამსახურმა მონაწილეობა მიიღო, როგორც ერთ-ერთმა რეგიონულმა წარმომადგენელმა. ღონისძიებაზე ძირითადი აქცენტი გაკეთდა მსოფლიოში აქტუალურ ტენდენციებზე და ზედამხედველობის პრაქტიკაზე მდგრადობასთან მიმართებაში, კლიმატთან დაკავშირებულ რისკებზე, ასევე განიხილეს ციფრული ინოვაციები (FinTech, SupTech) და კიბერ რისკები. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ განიხილეს გადახდისუნარიანობა 2-ის დირექტივის ახალი ცვლილებები, რომელიც დანერგვის პროცესშია, ასევე ასოციაციის მიერ 2025-2029 წლისთვის დაგეგმილი აქტივობები.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურის წარმომადგენლები ვირტუალურ ფორმატში დაესწრნენ ევროპის სადაზღვევო და პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ორგანოს (EIOPA – European Insurance and Occupational Pensions Authority) მიერ ორგანიზებულ მოკლე ღონისძიებების სერიას, ევროპარლამენტის 2024 წლის „დაზღვევისა და გადაზღვევის კომპანიების აღდგენისა და რეზოლუციის" ახალ დირექტივასთან (IRRD – Recovery and Resolution of insurance and reinsurance undertakings) დაკავშირებით. მოცემული გაგრძელდება ასევე 2025 წელს.

Eastern European Risk and Insurance Association

2024 წელს გაგრძელდა „აღმოსავლეთ ევროპის რისკის დაზღვევის ასოციაცია"-სთან (EERIA – Eastern European Risk Insurance Association) თანამშრომლობა და მოცემული ასოციაციის წევრობის ფარგლებში, სამსახურის წარმომადგენლებმა ქ. ოჰრიდში, ჩრდილოეთ მაკედონიაში, გაიარეს First Summer School-ის პროგრამა. სასწავლო პროგრამა მოიცავდა შემდეგ საკითხებს: დაზღვევის ბიზნეს მოდელები, მართვის სისტემები, რეგულაციები, ციფრული ტრანსფორმაცია და მდგრადი დაზღვევა. პროგრამა ითვალისწინებდა სადაზღვევო სექტორში არსებული მდგომარეობის, მოდელების, გამოწვევების, უპირატესობების, ე.წ. case-study-ების განხილვას, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაზიარებას და მოწვეულ მომხსენებლებთან ღია დისკუსიაში მონაწილეობის მიღებას. პროგრამის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ პროგრამის დასრულების სერტიფიკატები.

xprimm.com
INSURANCE IN CEE • SEE • EX-USSR

საანგარიშო პერიოდში, გაგრძელდა სამსახურსა და დაზღვევა/გადაზღვევის, დაზღვევის საშუამავლო საქმიანობის და კერძო საპენსიო დაზღვევის საკითხებზე სპეციალიზებულ „მედია სააგენტო XPRIMM"-თან (Promoting the Reinsurance & Insurance Market by Media) თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც 2024 წელს სამსახურის წარმომადგენლები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ქ. ბაქოში და მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკისა და სადაზღვევო ასოციაციის მიერ ორგანიზებულ აზერბაიჯანის საერთაშორისო ფორუმში. ღონისძიებაზე განხილული იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის კლიმატური რისკები დაზღვევაში, საბანკო-სადაზღვევო პროდუქტები, გამოწვევები და მიმდინარე ტენდენციები, ჯანმრთელობის დაზღვევის ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიების როლი ავტო დაზღვევაში და სხვა.

„მედია სააგენტო XPRIMM"-თან თანამშრომლობის ფარგლებში, 2025 წელს,ივნისის თვეში, საქართველოში, იგეგმება საერთაშორისო კონფერენცია და გაფართოებულ ფორმატში სამუშაო შეხვედრა.

BIS

საანგარიშო პერიოდში, შვეიცარიის ქ. ბაზელში, სამსახური მიწვეული იყო ფინანსური სტაბილურობის ინსტიტუტის (FSA — Financial Stability Institute) და საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (BIS — Bank of International Settelments) მიერ ერთობლივად ორგანიზებულ შეხვედრაში, რომელიც მიეძღვნა დიდი ტექნოლოგიური კომპანიების (big-techs) სადაზღვევო ბიზნესში ჩართვის პოლიტიკის იმპლემენტაციის საკითხებს. შეხვედრაზე განიხილეს დიდი ტექნოლოგიური კომპანიები, როგორც მზღვეველების და ასევე საშუამავლო კომპანიების საქმიანობები, მათი მასშტაბების ზრდის შესაძლებლობები, მოტივაციები სადაზღვევო ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებით, დაზღვევის შუამავლების მიერ საკუთარ საქმიანობაში ციფრული პლატფორმების გამოყენება სადაზღვევო პროდუქტების რეალიზაციის მიზნით, ხაზი გაესვა რეგიონულ ჭრილში კულტურულ ფაქტორებს და მომხმარებელთა ქცევის თავისებურებებს, სადაზღვევო ბაზრის სიმწიფეს. ასევე, ფართო დისკუსია გაიმართა ხელოვნური ინტელექტის როლზე ფინანსურ საქმიანობაში. წარმოდგენილი იყო მარეგულირებელი ჩარჩოების პერსპექტივები.

2024 წელს, სლოვენიის ქ. ლუბლიანაში, სამსახურმა მონაწილეობა მიიღო დაზღვევის ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ორგანიზებულ დაზღვევის მე-9 საერთაშორისო კონფერენციაში თემაზე – „კლიმატის ცვლილების ზეგავლენა დაზღვევის ბაზარზე", გამოწვევების დაძლევის გზები და გარემოს დასაცავად ეფექტური გამოსავლის მოძიება. შეხვედრაზე ფართოდ შეეხნენ სტიქიური უბედურების წინასწარ განჭვრეტას, დაზღვევაში არსებულ ხარვეზებს და მათი გადაჭრის გზებს. შეხვედრების ფარგლებში, სამსახურის უფროსის მიერ დაიგეგმა სლოვენიის დაზღვევის ზედამხედველობის სააგენტოსთან ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება. ამჟამად, მიმდინარეობს მემორანდუმის გაფორმების წინა მოსამზადებელი სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურის წარმომადგენლები დაესწრნენ რუმინეთის მთავრობის მხარდაჭერით (RO-AID), ქ. თბილისში გამართულ სემინარს, რომელიც ეხებოდა ევროკავშირში გაწევრიანების პრაქტიკას და მოლაპარაკებების გახსნის შემდგომ გასაწევ სამუშაოებს. სემინარზე რუმინელმა ექსპერტებმა დამსწრეებს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება გაწევრიანების წინა პროცესის ინსტიტუციური ორგანიზების – ჰორიზონტალური და ვერტიკალური კოორდინაციის მექანიზმების, ეროვნული თანამშრომლობის პოლიტიკის თაობაზე. ასევე, იურიდიული დოკუმენტების თარგმანის თავისებურებების, გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების, ევროკავშირის ფინანსური და საკონსულტაციო მხარდაჭერის სხვადასხვა ინსტრუმენტების როლის შესახებ.

## ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება

საანგარიშო პერიოდში, ორმხრივი მაღალი დონის შეხვედრის ფარგლებში, სამსახურის უფროსმა, დავით ონოფრიშვილმა უმასპინძლა ავსტრიის საფინანსო ბაზრის საზედამხედველო უწყების (FMA) მმართველ დირექტორს დაზღვევისა და საპენსიო ზედამხედველობის მიმართულებით, პეტერ ბრაუმულერს. ვიზიტის ფარგლებში, პეტერ ბრაუმულერი, ასევე, შეხვდა სამსახურის წარმომადგენლებს და მათ გაუზიარა ევროკავშირში არსებული სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა  გადახდისუნარიანობა 2-ის სარეგულაციო ჩარჩოსთან დაკავშირებით. ასევე, ისაუბრა სადაზღვევო სექტორში კლიმატის რისკებისა და მდგრადობის შესახებ და დიგიტალიზაციასთან დაკავშირებულ ტენდენციებსა და გამოწვევებზე.

სამსახურის უფროსთან შეხვედრისას, მხარეებმა, ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებაზე და შესაძლო პერსპექტივებზე. ამ მიზნით, პეტერ ბრაუმულერმა ინიციატივა გამოთქვა, ავსტრიის საფინანსო ბაზრის საზედამხედველო უწყებაში უმასპინძლოს სამსახურის წარმომადგენლებს და შეხვედრა გამართოს სამსახურის უფროსთან. გარდა ამისა, შეხვედრის ფარგლებში დაიგეგმა უწყებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესაძლო გაფორმების მიმართულებით შესაბამისი სამუშაოების წარმართვა.




**შეხვედრა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურსა და ავსტრიის საფინანსო ბაზრის საზედამხედველო უწყების ხელმძღვანელ – პიტერ ბრაუმულერთან და მის მრჩეველთან – იოანა რაკოვსკასთან**

### ევროკავშირთან ინტეგრაცია



საანგარიშო პერიოდში, სამსახური კვლავ ჩართული იყო ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების ვალდებულების შესრულების მონიტორინგის მიზნით, იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილი სამართლებრივი დაახლოების ელექტრონული პლატფორმის (EMS) ფარგლებში შესაბამისი სამუშაოების შესრულების პროცესში. კერძოდ, სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების კოორდინაციისა და მონიტორინგის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში, რომელიც ჩამოყალიბდა 2024 წელს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის 71-ე სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ზემოხსენებული სამუშაოების ფარგლებში, სამსახურმა უზრუნველყო ელექტრონულ პლატფორმაზე ინფორმაციის განთავსება იმ დირექტივებთან მიმართებით, რომლის შევსების ვადად იუსტიციის სამინისტროს მიერ განსაზღვრული იყო 2024 წლის ბოლო პერიოდი. აქვე, აღსანიშნავია, რომ სამსახურმა, საანგარიშო პერიოდში, შეავსო და იუსტიციის სამინისტროს წარუდგინა ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით, სამსახურმა მოამზადა ექვსთვიანი და წლიური ანგარიშები საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მიმართულებით, რაც მოიცავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში გათვალისწინებულ აქტივობებს და ასოცირების შეთანხმების ელექტრონული მონიტორინგის სისტემაში სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში შესრულების მდგომარეობის ასახვას.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა განიხილა და დაამუშავა ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული გაფართოების პაკეტის შეფასების ანგარიში (2024 Enlargement Package), სადაც ვრცლადაა საუბარი ფინანსურ სექტორზე (მათ შორის დაზღვევის მიმართულებებზე) და შეფასებული შესაბამისი მიმართულებები ევროსტანდარტებთან შესაბამისობის გათვალისწინებით.

დინამიური აპროქსიმაციის ფარგლებში, დაზღვევის სფეროში არსებული კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და შემდგომი ინტეგრაციის მიზნით, სამსახურს დაგეგმილი აქვს „დაზღვევის დისტრიბუციის შესახებ "ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 20 იანვრის 2016/97 დირექტივასთან ჰარმონიზაცია, რომელიც არ არის ასახული საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებაში. ამასთან, თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) სტანდარტების ადგილობრივ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის პროცესის დაწყება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით,სამსახურმა 2024 წელს ევროკავშირის დელეგაციას საქართველოში წარუდგინა დაძმობილების პროექტის (TWINNING) განხორციელების მიზნით საპროექტო განაცხადი (Concept Note), რომელიც 2024 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, ოფიციალურად აისახა სამომავლო პროექტების ჩამონათვალში (Pipeline of Twinning projects).

2024 წელს, სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ კორპორატიული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივასთან (CSRD – Corporate sustainability reporting Directive N2022/2464) დინამიური დაახლოებისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების შემუშავებისთვის შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში.

აღნიშნული დირექტივა მიზნად ისახავს დაინტერესებული მხარეების საზედამხედველო/მარეგულირებელ ან/და მაკონტროლებელ უწყებებს, მიაწოდოს ყოვლისმომცველი ინფორმაცია საწარმოს მდგრადობის და მის წინაშე არსებული რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ. კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგება წარმოაჩენს საწარმოს შესახებ მოცულობით ინფორმაციას კერძოდ, მის მიმდინარე და სამომავლო ზემოქმედებას საზოგადოებაზე და გლობალურ პრობლემატურ მიმართულებებზე.

## გადახდისუნარიანობა 2-ს დირექტივასთან ჰარმონიზაციის პროცესი

2024 წელს, სამსახურმა გააგრძელა „დაზღვევისა და გადაზღვევის საქმიანობის დაწყებისა და ფუნქციონირების შესახებ" (გადახდისუნარიანობა 2/SOLVENCY II) ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის 2009/138/EC დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიმართულებით მუშაობა, შესაბამისი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში.

მნიშვნელოვანია, რომ გადახდისუნარიანობა 2-ის სისტემის უკეთ გაცნობის მიზნით, სამსახურის მოწვევით, საქართველოში იმყოფებოდა ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტისა და ლიუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი, კარელ ვან ჰულე, რომელიც ამავდროულად არის გადახდისუნარიანობა 2-ს სისტემის ავტორი. პროფესორმა ჰულემ სამუშაო შეხვედრები გამართა სამსახურის თანამშრომლებთან და საქართველოში ლიცენზირებულ სადაზღვევო კომპანიებთან. სამუშაო შეხვედრებისას, მან განიხილა სამსახურის და ესპანელი ექსპერტების მიერ ერთობლივად მომზადებული გადახდისუნარიანობა 2-ს ძირითადი საკანონმდებლო ჩარჩო და გამოთქვა მოსაზრებები. ასევე, ვრცლად მიმოიხილა სისტემა და მასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები.

ინდუსტრიის წარმომადგენლებისთვის ეს იყო მნიშვნელოვანი შესაძლებლობა, ახალი სისტემისა და მისი თავისებურებების შესახებ მოესმინათ ინფორმაცია უშუალოდ იმ პირისგან, რომელმაც ის შეიმუშავა ევროკავშირის ქვეყნებისთვის. სამსახური გეგმავს, კვლავ გააგრძელოს თანამშრომლობა მოცემულ საკითხებზე პროფესორ ჰულესთან, მისი დანერგვის თავისებურებების უკეთ გაცნობის მიზნით. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული კანონპროექტის ძირითადი ნაწილის გადამუშავება დასრულებულია სამსახურში შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში და შესაბამისად, 2025 წელს იგეგმება მისი სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.

ვინაიდან ზემოაღნიშნული დირექტივის მოთხოვნები სისტემური ხასიათისაა და მასთან ჰარმონიზაციით სრულებით იცვლება დაზღვევის სარეგულაციო ჩარჩო, ისევე როგორც სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის პროცესისადმი მიდგომები, მისი იმპლემენტაციის საკითხი დროში განგრძობადია და ამ მიმართულებით მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება.

# მომხმარებლის უფლებების დაცვა

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, სადაზღვევო სექტორში, მომხმარებლის უფლებების დაცვა და სამომხმარებლო ბაზრის სისტემური მონიტორინგი.

**მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქცია**

**ინსტრუქცია არეგულირებს** მზღვეველის მიერ მომხმარებლისათვის სადაზღვევო მომსახურების გაწევის დროს სრული, აუცილებელი, გასაგები, უტყუარი და თავისდროული ინფორმაციის თანმიმდევრული მიწოდების საკითხებს და ემსახურება სადაზღვევო სექტორის სამომხმარებლო ბაზარზე მომხმარებელთა უფლებების დაცვას, სისტემური რისკის კონტროლს, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას და პოტენციური რისკების შემცირებას.

**ინსტრუქციის შემუშავების მიზანია** ქვეყანაში საბაზრო დისციპლინის განმტკიცებისა და სამომხმარებლო ბაზრის ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა, ასევე სადაზღვევო სექტორისადმი მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება და ნდობის განმტკიცება, მზღვეველის მიერ სადაზღვევო საქმიანობისას კეთილსინდისიერების, გულისხმიერებისა და წინდახედულობის პრინციპების დაცვა, მზღვეველების მიერ არამდგრადი და რეპუტაციული რისკის შემცველი ბიზნესმოდელების გამოყენების რისკის შემცირება, რაც ემსახურება კეთილსინდისიერი და ჯანსაღი კონკურენციისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფას.

**ინსტრუქცია ვრცელდება** მზღვეველზე, მის მიერ (მისი სახელით) მომხმარებლისათვის ნებისმიერი ფორმით, მათ შორის, დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით, ყველა სახეობის სადაზღვევო საქმიანობის ფარგლებში, როგორც სავალდებულო, ასევე ნებაყოფლობითი დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო მომსახურების გაწევისას.

**დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე, ინფორმირებული არჩევანის გაკეთების და ხელშეკრულებიდან გამომდინარე სწორი მოლოდინის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ჩვენი უფლებები**

- დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე, უფლებამოსილი ხართ მიიღოთ დაზღვევის პირობების შესახებ დეტალური აღწერილობა, უტყუარი, ზუსტი და არადამაბნეველი ინფორმაცია.

- მზღვეველის მიერ სადაზღვევო პროდუქტის წერილობითი (მატერიალური/ელექტრონული) ფორმით შეთავაზების დროს, მზღვეველმა უნდა მოგაწოდოთ სადაზღვევო პროდუქტის შესახებ „საინფორმაციო ფურცელი". თუ მზღვეველის მიერ განხორციელდა სადაზღვევო პროდუქტის თქვენთვის ზეპირი ფორმით შეთავაზება, მზღვეველმა უნდა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ინფორმაციის ზეპირი ფორმით თქვენთვის მოწოდება.

- დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა დოკუმენტებს (მაგ.: დაზღვევის ხელშეკრულება, სადაზღვევო პირობები, დაზღვევის პოლისი, დანართები და სხვ.). ხელშეკრულების დადებისას, ხელშეკრულებასთან ერთად უნდა გადმოგეცეთ „ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები", სადაც მითითებულია სადაზღვევო პროდუქტის შესახებ ძირითადი ინფორმაცია და ყველა დოკუმენტი, რომლებისგანაც შედგება ხელშეკრულება.

- თუ სადაზღვევო პროდუქტის შეთავაზების შემდეგ დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე დაზღვევის პირობები შეიცვალა და მზღვეველმა იცის, რომ კეთილსინდისიერად ეყრდნობით მათ, მზღვეველი ვალდებულია უზრუნველყოს შეცვლილი/განახლებული პირობების თქვენთვის გაცნობა და განმარტება.

- დისტანციურად დადებული ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, უფლება გაქვთ მოითხოვოთ შეთანხმებული დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების ცვლილება, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ხელშეკრულებას ან/და სადაზღვევო პროდუქტის ბუნებას.

- მოთხოვნის შემთხვევაში, მზღვეველმა ყოველგვარი დამატებითი გადასახდელის გარეშე, გონივრულ ვადაში უნდა მოგაწოდოს დაზღვევის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სტანდარტული ინფორმაცია. მოთხოვნის შემთხვევაში (მათ შორის დისტანციურად დადებული ხელშეკრულების დროს), მზღვეველი ვალდებულია გონივრულ ვადაში, ყოველგვარი დამატებითი გადასახდელის გარეშე, მატერიალური ფორმით, მოგაწოდოთ დაზღვევის პირობებთან დაკავშირებული ყველა თანმხლები დოკუმენტი.

- იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია ხელშეკრულების პირობების ცვლილება, მზღვეველმა აღნიშნულის შესახებ უნდა გაცნობოთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარი შეტყობინების ფორმით. შეტყობინება უნდა მოგეწოდოთ უშუალოდ თქვენ, დაუშვებელია შეტყობინების მოწოდება, ინფორმაციის მზღვეველის ვებ-გვერდზე განთავსების გზით.

- მზღვეველსა და თქვენს შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, დასაშვებია წინასწარი შეტყობინების ვალდებულების გაუქმება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხორციელდება დაზღვევის ხელშეკრულების პირობების ცვლილება თქვენს სასარგებლოდ.

- მზღვეველის სადაზღვევო მომსახურებით ან რომელიმე სადაზღვევო პროდუქტით უკმაყოფილების შემთხვევაში, თქვენ უფლებამოსილი ბრძანდებით წარადგინოთ პრეტენზია მზღვეველის სპეციალურ სტრუქტურულ ერთეულში.

**მზღვეველის, დაზღვევის აგენტის ან სადაზღვევო ბროკერის მიერ თქვენი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, უფლებამოსილი ხართ მიმართოთ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს.**

## სტატისტიკური მონაცემები – 2024 წელი

2024 წელს, სამსახურს წარედგინა 194 ახალი განცხადება;
მიმდინარე რეჟიმში გაგრძელდა 2023 წელს მიღებული განცხადებებიდან 8 მათგანის განხილვა;
საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა 187 განცხადებაზე საქმისწარმოება დაასრულა;
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქმისწარმოება 15 განცხადებაზე გაგრძელდა;
ჩაატარა მომხმარებელთა პრეტენზიების შესახებ მზღვეველის 191 (ყოველთვიური) ანგარიშგების რევიზია.

მომხმარებლების განცხადებების და ანგარიშგებების განხილვის ფარგლებში გამოვლინდა სხვადასხვა ტიპის დარღვევები, მათი სერიოზულობის და სიმძიმის მიხედვით განხორციელდა შესაბამისი სახის სანქციების გამოყენება. სულ ჯამში გამოყენებულია 24 სანქცია, მათ შორის:




## დისტანციური მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში, დისტანციური მონიტორინგის ფარგლებში, „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-6 და მე-7 მუხლებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, სამსახურმა ორი მზღვეველი შეამოწმა, ერთ შემთხვევაში მნიშვნელოვანი სისუსტეები გამოვლინდა, ხოლო მეორე შემთხვევაში – საშუალო დონის სისუსტეები.

გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და გამოსწორებისთვის, სამსახურმა მოითხოვა მზღვეველებისაგან გასატარებელი ღონისძიებების გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ხარვეზების და სისუსტეების უმოკლეს ვადაში აღმოფხვრას.

## თემატური მონიტორინგი:

### I. სამოგზაურო დაზღვევის მიმართულებით დადგენილი მინიმალური მოთხოვნები

2024 წლის 1 მარტიდან, ამოქმედდა სამოგზაურო დაზღვევის მიმართ დადგენილი მინიმალური მოთხოვნები, რომლის მიხედვით:

თუ სამოგზაურო დაზღვევის ჯამური ლიმიტი ტოლია ან აღემატება 30,000 (ოცდაათი ათასი) ევროს/აშშ დოლარს:
ა) გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების ლიმიტი, უნდა განისაზღვროს არანაკლებ 5 000 (ხუთი ათასი) ევროსი/აშშ დოლარისა (ძველი ლიმიტი იყო 1000 – 2000 ევრო/დოლარი);

ბ) გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურების ლიმიტი, უნდა განისაზღვროს არანაკლებ 30,000 (ოცდაათი ათასი) ევროსი/აშშ დოლარის (ძველი ლიმიტი იყო, დღეზე 400 ევრო/აშშ დოლარი);

თუ სამოგზაურო დაზღვევის ჯამური ლიმიტი ნაკლებია 30,000 (ოცდაათი ათასი) ევრო/აშშ დოლარზე:
ა) გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების ლიმიტი, უნდა განისაზღვროს არანაკლებ ჯამური ლიმიტის 10%-სა, მაგრამ, არანაკლებ 1 000 (ერთი ათასი) ევროსი/დოლარის (ძველი ლიმიტი იყო, 150 - 1000 ევრო/აშშ დოლარი);
ბ) გადაუდებელი ქირურგიული მომსახურება უნდა იყოს ჯამური ლიმიტის (სადაზღვევო თანხა) ტოლი (რაც სულ ცოტა 10-ჯერ მეტია ძველ ლიმიტზე (150 ან 400 იყო);

სადაზღვევო შემთხვევა, რომელიც დადგა და გრძელდება სადაზღვევო პერიოდის დასრულების შემდეგ (მანამდე ანაზღაურება სრულდებოდა სადაზღვევო პერიოდთან ერთად):
ა) თუ მომსახურების გაწევის მიერ, სამედიცინო მომსახურების ხარჯი იანგარიშება ერთიანი ტარიფით, უნდა ექვემდებარებოდეს ანაზღაურებას სრულად, შესაბამისი ლიმიტის ფარგლებში;

ბ) თუ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯი იანგარიშება დღიურად, ანაზღაურებას უნდა დაექვემდებაროს, სადაზღვევო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 15 (თხუთმეტი) დღის ხარჯი.

გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებისთვის მინიმალური ლიმიტები;
სამოგზაურო დაზღვევასთან დაკავშირებული პირობების სრულად მიწოდება (იგივე ფორმით, რა ფორმითაც დაიდო დაზღვევის ხელშეკრულება და დაზღვეულს მიეწოდა პოლისი).

**დაუშვებელია დაზღვევის პირობების მიწოდებად ჩაითვალოს დათქმა  გაცნობის ან მიწოდების თაობაზე ან მზღვეველის მითითება პირობების ვებ-გვერდზე არსებობის თაობაზე. იმ სადაზღვევო შემთხვევების ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც დადგა, თუმცა არ დასრულებულა სადაზღვევო პერიოდში.**

**დაუშვებელია სამოგზაურო დაზღვევის სახეობებში მომხმარებლის ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია.**

ახალი სტანდარტის ამოქმედების შემდგომ, სამსახურმა ჩაატარა მონიტორინგი და შეისწავლა თითოეული მზღვეველის მიერ შეცვლილი დაზღვევის პირობები, დაზღვევის პოლისის დიზაინი და დაუშვა მხოლოდ ისეთი სამოგზაურო დაზღვევის პირობების რეალიზება ბაზარზე, რომლებიც მინიმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

დადგენილი მოთხოვნების ამოქმედების შედეგად, გაიზარდა სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტიდან გამომდინარე მომხმარებლის დაცულობა და მომხმარებლის ინფორმირებულობის ხარისხი.გატარებული ცვლილებები, ხელს უწყობს სამოგზაურო დაზღვევის ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის ზრდას.

### II. რეკომენდაცია – „ზიანის დაზღვევისას, უხეში გაუფრთხილებლობის საფუძვლით სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის თაობაზე მომხმარებლის ინფორმირების შესახებ“

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა მოიკვლია სადაზღვევო ბაზარზე ქონების დაზღვევისას უხეში გაუფრთხილებლობის საკითხი, როგორც ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი, შეისწავლა საერთაშორისო პრაქტიკა და ამ მიმართულებით გატარებული რეფორმები. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქართულ სადაზღვევო ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკის სამართლიანი ფორმირება, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის დროს მომხმარებლის სწორი მოლოდინის ჩამოყალიბება.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, 2024 წლის 8 ივლისს, სამსახურის მიერ გამოიცა რეკომენდაცია, რომლის მიზანია – დაზღვევის სფეროში მომხმარებლის მიმართ სამართლიანი პოლიტიკისა და ინფორმირების ხარისხის გაუმჯობესება.** კერძოდ, „საინფორმაციო ფურცელში“, „ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებში“ და დაზღვევის ხელშეკრულებაში – უხეში გაუფრთხილებლობის, როგორც დაზღვევის საგამონაკლისო პირობების ნათლად და გასაგებად ასახვა, რაც ხელს შეუწყობს მომხმარებლის სწორი მოლოდინების ჩამოყალიბებას და ასევე უზრუნველყოფს, როგორც შეთავაზების ეტაპზე – ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას, ასევე სადაზღვევო მომსახურების გაწევის დროს, მომხმარებლისადმი სამართლიანი მოპყრობის დამკვიდრებას. რეკომენდაცია ვრცელდება – საქართველოში ლიცენზირებულ ყველა მზღვეველზე და რეგისტრირებულ დაზღვევის შუამავალზე.

რეკომენდაციით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება უზრუნველყოფს - გამჭვირვალე სახელშეკრულებო პირობების შემუშავებას და დამკვიდრებას, რაც თავის მხრივ, მომხმარებლის უფლებების დაცვისა და მზღვეველის მიმართ ნდობის გამტკიცებას, საბოლოო ჯამში კი, სადაზღვევო ბაზრის განვითარებას შეუწყობს ხელს.
**ქონების დაზღვევისას, უხეშ გაუფრთხილებლობის თაობაზე, როგორც სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის საფუძველზე, მომხმარებლის ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდირებული ღონისძიებები:**

მზღვეველმა შეიმუშაოს უხეში გაუფრთხილებლობის შეფასების ერთიანი პრინციპი, რაც იქნება სამართლიანი, მარტივი, გასაგები და საქართველოში დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკასთან თანადი;

მზღვეველმა დაზღვევის ხელშეკრულებაში ნათლად და მკაფიოდ უნდა ასახოს შესაბამისი დათქმა - უხეში გაუფრთხილებლობა, როგორც მზღვეველის მხრიდან სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის სახელშეკრულებო საფუძველი და ასევე, არაორაზროვნად და მომხმარებლისათვის გასაგები ფორმით გაწეროს შეფასების ის პრინციპი, რომლითაც განხორციელდება ქმედების კვალიფიკაცია უხეშ გაუფრთხილებლობად;

მზღვეველმა უზრუნველყოს - „უხეში გაუფრთხილებლობის“, როგორც მზღვეველის ანაზღაურების ვალდებულებისაგან გათავისუფლების პირობის, ინსტრუქციით გათვალისწინებულ „საინფორმაციო ფურცელში“ და „ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებში”, დაზღვევის გამონაკლისი პირობების სრულყოფილ ჩამონათვალთან ერთად ასახვა და შესაბამისად, მომხმარებლის სათანადოდ ინფორმირება, როგორც სადაზღვევო პროდუქტის შეთავაზების, ასევე, ხელშეკრულების დადების ეტაპზე.

**III. საანგარიშო პერიოდში, მომზადდა და ცვლილება განხორციელდა „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციაში“.**

• დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების და დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში, თანმიმდევრული, სრული, აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის განსაზღვრა და დაზუსტება.
• დადგენილი მოთხოვნები სავალდებულოდ შესასრულებელია მზღვეველებისთვის, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრირების პროცესის გამჭვირვალედ, დროულად და ეფექტურად წარმართვას, მომხმარებლის ინფორმირებულობის ზრდას და შესაბამისად სადაზღვევო სექტორისადმი ნდობის ამაღლებას.
• აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების ვადად განისაზღვრა 2025 წლის 01 თებერვალი.

**საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა და მომხმარებელი**

საანგარიშო პერიოდში, მოწვეულ ექსპერტებთან ერთად, შემუშავდა„ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული 2 (ორი) ნორმატიული აქტის პროექტი:

• მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი მონაწილეების, პოტენციური მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად;
• საპენსიო კომპანიასა და მზღვეველში მონაწილეებისა და ბენეფიციარების პრეტენზიების განხილვის და გადაწყვეტის მექანიზმის მინიმალური მოთხოვნები.

**კერძო პენსიის პრიორიტეტები:**
**მეტი კონტროლი საკუთარ დანაზოგზე** - თქვენ თავად წყვეტთ - რამდენს შეიტანთ, რა სიხშირით და როგორ განკარგავთ დაგროვებულ თანხას:
**გრძელვადიანი დაგროვების შესაძლებლობა** – თქვენი დანაზოგი დროთა განმავლობაში იზრდება, რადგან ის ინვესტირებულია და სარგებელი ემატება, საპენსიო სქემა გათვლილია ხანგრძლივ პერსპექტივაზე, რაც ნიშნავს, რომ თქვენი დანაზოგი დროთა განმავლობაში უფრო ეფექტურად იზრდება; **ინვესტიციის პოტენციური ზრდა** - საპენსიო ფონდების ინვესტირება უფრო მრავალფეროვანი და მომგებიანი საინვესტიციო ინსტრუმენტების გამოყენებით ზრდის თქვენი თანხის ოდენობას; **საგადასახადო შეღავათები** - 6 000 ლარამდე ჯამურად განხორციელებულ წლიურ საპენსიო შენატანზე და მისაღებ პენსიაზე არ ვრცელდება საშემოსავლო გადასახადი; **დამოუკიდებლობა სახელმწიფო პენსიისგან** – სახელმწიფო პენსია მხოლოდ საბაზისო საჭიროებებს ფარავს, ხოლო კერძოდ პენსია საშუალებას გაძლევთ გარანტირებულად უზრუნველყოთ თქვენი სიბერე; **ხელმისაწვდომი ნებისმიერი მოქალაქისთვის** – სისტემა ხელმისაწვდომია ყველასთვის და არ არის დამოკიდებული დასაქმების სტატუსზე.

**ნებაყოფლობითი კერძო პენსიის სისტემა – შესაძლებლობა თავად მართოთ თქვენი ფინანსური მომავალი!**

## მომხმარებლის დაცვის პირველი ეროვნული სტრატეგია




საქართველოს მთავრობამ მომხმარებლის უფლებების დაცვის პირველ ეროვნულ სტრატეგიას მხარი დაუჭირა. დოკუმენტი მომხმარებლის დაცვის სამართლებრივი და ინსტიტუციური ბაზის შემდგომ განვითარებას და მომხმარებელთა დაცვის მიმართულებით უწყებების კოორდინაციის გაძლიერებას ისახავს მიზნად. ოთხწლიანი სტრატეგია ითვალისწინებს მათ შორის საკანონმდებლო, ინსტიტუციურ და პრაქტიკულ ცვლილებებს, მომხმარებლებისა და ბიზნესის ცნობიერების ამაღლებას, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაუმჯობესებას და სხვა მნიშვნელოვან ნაბიჯებს, რომელთა გადადგმა საჭიროა სექტორში არსებული გამოწვევების გადასაჭრელად.

მომხმარებლის უფლებების დაცვის პირველი ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის, ეროვნული ბანკის, კომუნიკაციების კომისიის, სემეკის და სურსათის ეროვნული სააგენტოს ჩართულობით მომზადდა.

სტრატეგიის მიზანია, ერთობლივ ფორმატში – ეროვნულ დონეზე, მომხმარებლის ჯგუფური და ინდივიდუალური ინტერესების თანაბრად და ეფექტიანად დაცვა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კიდევ უფრო მეტი გარანტიების შექმნა მოქალაქეებისთვის, როგორც მომხმარებლებისთვის, რადგან მათი უფლებები იყოს უფრო მეტად დაცული და გარანტირებული.

2024 წლის 27 დეკემბერს, ექვსი მარეგულირებელი უწყების მიერ შემდგარი მმართველი კომიტეტი შეიკრიბა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად – 2024 წელს განხორციელებელი საკითხები განიხილა და 2025 წლის სამოქმედო გეგმა დაამტკიცა.

# ფინანსური განათლების ხელშეწყობა

## მომხმარებლის უფლებების დაცვის საერთაშორისო კვირეული




დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის, კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს, სემეკის, ეროვნული ბანკის, კომუნიკაციების კომისიის და სურსათის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, 11-15 მარტს, მომხმარებლის უფლებების დაცვის საერთაშორისო კვირეული გაიმართა.

გახსნითი ღონისძიება თბილისში, 11 მარტს, სასტუმრო „პულმანში" გაიმართა, სადაც მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელმა ექვსმა მარეგულირებელმა უწყებამ მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით მიღებული შედეგები, გამოწვევები და აღსრულების მექანიზმები განიხილა.

ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა, დავით ონოფრიშვილმა.
მან სამსახურის მიერ, 2023 წელს, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით გატარებულ ღონისძიებებზე, შედეგებზე და მიმდინარე გამოწვევებზე ისაუბრა. სამსახურის ხელმძღვანელმა ასევე ყურადღება გამახვილა მომხმარებელთა ინფორმირების ეფექტური კამპანიების მნიშვნელობაზე და საერთაშორისო გამოცდილებებზე.






კვირეულის ფარგლებში, მომხმარებლებთან შეხვედრები გაიმართა 12 მარტს გურჯაანში, 14 მარტს – ქუთაისში, ხოლო 15 მარტს – მომხმარებლის დაცვის საერთაშორისო დღეს – ბათუმში.
კვირეულის მიზანს წარმოადგენდა მომხმარებლის უფლებების მიმართულებით საზოგადოებრივი ცნობიერების გაძლიერება. ღონისძიებებში მონაწილეობდნენ მარეგულირებელი უწყებების პირველი პირები, პარლამენტის, ცენტრალური და რეგიონული მთავრობის წევრები, ბიზნესის, აკადემიური, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და სხვადასხვა სექტორის მომხმარებლები. საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ევროკავშირის, UNCTAD-ის, დიპლომატიური კორპუსის, ლიეტუვის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის წარმომადგენლები.



## III საერთაშორისო კონფერენცია „კონკურენცია და მომხმარებლის უფლებების დაცვა“




2024 წლის 20-22 ნოემბერს, თბილისში III საერთაშორისო კონფერენცია „კონკურენცია და მომხმარებლის უფლებების დაცვა“ გაიმართა. ყოველწლიური კონფერენციის მიზანია, საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის საფუძველზე, საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის გაძლიერება, მიღებული შედეგების, გამოწვევების შესახებ გაფართოებული მსჯელობა და მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმების გაუმჯობესება.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 300-ზე მეტმა დელეგატმა, 50-ზე მეტმა ადგილობრივმა და საერთაშორისო სპიკერმა, 12 ქვეყნის კონკურენციის და მომხმარებლის სექტორში მომუშავე უწყების 25-მა წარმომადგენელმა. საქართველოს მთავრობის და პარლამენტის წევრებმა, ადგილობრივმა და საერთაშორისო ექსპერტებმა, საჯარო უწყებების, მარეგულირებელი ორგანოების, აკადემიური წრის და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებმა.

გახსნით სესიაში მონაწილეობა მიიღეს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა დავით ონოფრიშვილმა; კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარემ ირაკლი ლექვინაძემ; ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ დავით ნარმანიამ; ეროვნული ბანკის საბჭოს წევრმა, ვიცე-პრეზიდენტმა ეკატერინე გალდავამ და კომუნიკაციების კომისიის წევრმა ვახტანგ აბაშიძემ.






მთავარი მომხსენებლის რანგში, მონაწილეების წინაშე წარდგა – ტერესა მორეირა, UNCTAD-ის კონკურენციისა და მომხმარებელთა პოლიტიკის მიმართულების ხელმძღვანელი; კრისტინა კაფარა, კონკურენციის კვლევის პოლიტიკის ქსელის დირექტორის მოადგილე; იზაბელ პერინიონი, ევროკომისიის იუსტიციისა და მომხმარებელთა გენერალური დირექტორატის მომხმარებელთა დირექტორი და სხვები. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების (ICN, UNCTAD, OECD, The EU DG COMP, The EU DG JUSTICE) კოლეგა უწყების წარმომადგენლებთან ერთად განხილულ იქნა – კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები, გამოწვევები, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე მიღებული შედეგები და პრაქტიკა.

კონფერენციის ფარგლებში, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით, ჩატარდა 7 სამუშაო სესია და 2 პანელური დისკუსია, სადაც მონაწილეობა მიიღო და ისაუბრა მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ფინანსური განათლების სამმართველოს უფროსმა – მომხმარებლის დაცვის ეფექტიან მიდგომებზე, სტანდარტებსა და ტენდენციებზე.

## ფულის გლობალური კვირეული

საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების პლატფორმა "ფინედუს" ორგანიზებით და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაწილეობით, 2024 წელს, ფულის გლობალური კვირეული გაიმართა.

კვირეულის ფარგლებში, „ალტე უნივერსიტეტში“ საჯარო პანელური ღონისძიება ჩატარდა, ახალგაზრდა თაობისთვის თემაზე -„დაიცავი შენი ფული, დაიცავი შენი მომავალი“, სადაც სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს დაზღვევის არსზე, ხოლო სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ წარმომადგენელმა კიბერდაზღვევის მნიშვნელობაზე.

გლობალური ფულის კვირეული, მსოფლიო მასშტაბით, 2012 წლიდან, აღინიშნება. ის მსოფლიოს 170-ზე მეტ ქვეყანაში ყოველწლიურად, გაზაფხულზე იმართება და მისი მთავარი ამოცანაა, ხელი შეუწყოს ბავშვებსა და ახალგაზრდებში ფინანსური, ეკონომიკური და სამეწარმეო ცნობიერების გაზრდასა და პოპულარიზებას.

## სამუშაო შეხვედრა კახეთის რეგიონში

დაზღვევის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, დავით ონოფრიშვილი და სამსახურის წარმომადგენლები, დაზღვევის დღისადმი მიძღვნილი კამპანიის ფარგლებში, სახელმწიფო რწმუნებულს კახეთის რეგიონში, გიორგი ალადაშვილს, მის მოადგილეებსა და მუნიციპალიტეტების მერებს შეხვდნენ.

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა გუბერნატორსა და მერებს სადაზღვევო ინდუსტრიაში არსებული მდგომარეობა, შედეგები და სამსახურის ფუნქციები გააცნო. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა აგროდაზღვევის პროექტის მნიშვნელობასა და ამ კუთხით კახეთის რეგიონში არსებულ გამოწვევებზე.





შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა - მომხმარებლის უფლებების ეფექტური დაცვის აუცილებლობები, მათი ინფორმირების გაუმჯობესების მექანიზმები და სამომავლოდ განსახორციელებელი ღონისძიებები განიხილეს.

2 მაისს, დაზღვევის დღესთან დაკავშირებით, კვირეულის ფარგლებში, არაერთი საინფორმაციო-შემეცნებითი მასალა მომზადდა და სხვადსახვა ღონისძიება გაიმართა.
საინფორმაციო ბუკლეტები:

„დაზღვევის მნიშვნელობა“
„დაზღვევა და მომხმარებლის უფლებები“
„სამოგზაურო დაზღვევისათვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნები“
„სადაზღვევო ტერმინების შემეცნებითი კალენდარი“

კამპანიის ფარგლებში მომზადებული მასალა გამოქვეყნდა FinEud- ფინედუს ფეისბუქ გვერდზე.

## კონკურსის „ფინანსური განათლება სკოლაში“ დასკვნითი ღონისძიება

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის, FinEdu-ს და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ მასწავლებლებისთვის ორგანიზებული კონკურსის „ფინანსური განათლება სკოლაში“ დასკვნითი ღონისძიება გაიმართა, სადაც კონკურსის გამარჯვებული პედაგოგები დაჯილდოვდნენ.

დაჯილდოების ცერემონიაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა, დავით ონოფრიშვილმა. მისი თქმით, სამსახურისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა დაზღვევის თაობაზე ცნობიერების ამაღლება, სკოლაში ფინანსური განათლების ხელშეწყობაა.





კონკურსის გამარჯვებული – ქ.თბილისის N 172 საჯარო სკოლის პედაგოგი ნესტან კუბლაშვილი

ცერემონია მისასალმებელი სიტყვით გახსნა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, ნათია თურნავამ და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ, თამარ მახარაშვილმა. კონკურსში გამარჯვებული პედაგოგების გარდა, თავიანთი რჩეული გამოავლინეს და დააჯილდოვეს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა, კერძო სადაზღვევო და საფინანსო სექტორმა.

## ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მართვის კომიტეტის სხდომა

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა, დავით ონოფრიშვილმა, ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მართვის კომიტეტის მე-8 სხდომაში მიიღო მონაწილეობა. კომიტეტის სხდომა საქართველოს ეროვნულ ბანკში გაიმართა და მას ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ნათია თურნავა უძღვებოდა. შეხვედრას ესწრებოდნენ ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მართვის კომიტეტის წევრები საჯარო, სამოქალაქო, საგანმანათლებლო და კერძო კომერციული სექტორებიდან. ასევე, არაწევრი დაინტერესებული პირები კომერციული ბანკებიდან.

სხდომაზე ფინანსური განათლების მიმართულებით 2023 წელს ერთობლივად განხორციელებული აქტივობების შედეგები შეჯამდა. წევრებმა 2024 წლის გეგმებზე, პრიორიტეტებზე, არსებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე ისაუბრეს.
ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი  პრიორიტეტულ მიმართულებებს აერთიანებს, მნიშვნელოვან ამოცანებს განსაზღვრავს. ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეებს შორის უფრო პრაქტიკული ფორმატით თანამშრომლობას და ფინანსური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას ყველა სამიზნე ჯგუფისთვის.

## ადგილობრივ დონეზე განხორციელებული აქტივობები

### დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტში, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა გაიმართა, სადაც სამსახურის უფროსმა, დავით ონოფრიშვილმა საბჭოს წევრებს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა. ასევე,საქართველოს სადაზღვევო ბაზრის 2024 წლის პირველი ხუთი თვის შედეგები, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები და სამომავლო გეგმები გააცნო.





სამსახურის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

შეხვედრას ესწრებოდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები: ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ლევან დავითაშვილი; ფინანსთა მინისტრი, ლაშა ხუციშვილი; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, ოთარ შამუგია; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, მიხეილ სარჯველაძე; ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, ლევან ვეფხვაძე; დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი, ელგუჯა მელაძე და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები.

### დავით ონოფრიშვილმა ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ დისკუსიაში მიიღო მონაწილეობა

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა, დავით ონოფრიშვილმა ჯანდაცვის მინისტრ მიხეილ სარჯველაძესთან და „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ გენერალურ დირექტორ, ირაკლი გოგიასთან ერთად ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ დისკუსიაში მიიღო მონაწილეობა.

დისკუსიის მონაწილეებმა, საქართველოს ჯანდაცვის და სადაზღვევო სექტორის შესაძლებლობებსა და გამოწვევებზე იმსჯელეს.
პანელურ დისკუსიაზე ხაზი გაესვა ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიც არის სადაზღვევო სექტორის რესურსები და შესაძლებლობები. გაჟღერებულ იქნა მნიშვნელოვანი მოსაზრებები.

დავით ონოფრიშვილმა სადაზღვევო სექტორში მიმდინარე პროცესებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გაჟღერებული საკითხების მიმართულებით სექტორთან და შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობა აქტიურ რეჟიმში გაგრძელდება.

# პროფესორ კარელ ვან ჰულეს სამუშაო ვიზიტი საქართველოში

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის, დავით ონოფრიშვილის სპეციალური მოწვევით, ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტისა და ლიუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, კარელ ვან ჰულემ საქართველოში ლიცენზირებულ სადაზღვევო კომპანიებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

პროფესორი ჰულე არის საერთაშორისოდ აღიარებული ექსპერტი, დაზღვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციის (IAIS) ტექნიკური კომიტეტის წევრი, რომელიც პასუხისმგებელია სადაზღვევო რეგულირების საერთაშორისო მიდგომებზე. 2004-2013 წლებში, იგი ევროკომისიაში დაზღვევისა და საპენსიო მიმართულებებს ხელმძღვანელობდა. მის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პროექტად ითვლება დაზღვევისა და გადაზღვევის კომპანიებისთვის რისკზე დაფუძნებული გადახდისუნარიანობა 2-ის ახალი რეჟიმის შემუშავება (SOLVENCY II). ამ საკითხებზე იგი წარმოადგენდა ევროკომისიას ევროპის სადაზღვევო და პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ორგანოში (EIOPA).

**საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს „დაზღვევისა და გადაზღვევის საქმიანობის დაწყებისა და ფუნქციონირების შესახებ“ (SOLVENCY II) ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის 2009/138/EC დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია. აღნიშნული ითვალისწინებს რისკზე დაფუძნებული გადახდისუნარიანობის სისტემაზე გადასვლას, რომლის მოთხოვნები, ახალი კანონის მიღების შემდეგ, შესასრულებლად სავალდებულო გახდება საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო და გადაზღვევის კომპანიებისთვის.**

სამუშაო შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა, სადაც პროფესორმა ჰულემ ევროკავშირში არსებული გადახდისუნარიანობა 2-ს სისტემაზე და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრა. ამდენად, ინდუსტრიის წარმომადგენლებისთვის ეს იყო უნიკალური შესაძლებლობა, ახალი სისტემისა და მისი თავისებურებების შესახებ ინფორმაცია უშუალოდ იმ პირისგან მოესმინათ, რომელმაც ის ევროკავშირის ქვეყნებისთვის შეიმუშავა.





კარელ ვან ჰულეს სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართა სამსახურის თანამშრომლებთან, სადაც მონაწილეებმა დეტალურად მიმოიხილეს ევროკავშირში არსებული გადახდისუნარიანობა 2-ის სისტემა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, მათ შორის: საქართველოში რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის და გადახდისუნარიანობის კაპიტალის რეჟიმის დანერგვა; საკუთარი რისკისა და გადახდისუნარიანობის შეფასება; მცირე და სისტემური მზღვეველები; კომპანიის მართვაზე პასუხისმგებელი პირების შესაფერისობის შეფასება და ძირითადი მმართველობის ფუნქციები გადახდისუნარიანობა 2-ის ფარგლებში.

## სამუშაო შეხვედრა სადაზღვევო სექტორთან

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა სადაზღვევო სექტორთან სამუშაო შეხვედრა გამართა, თემაზე – “უხეში გაუფრთხილებლობა, როგორც ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი სადაზღვევო ურთიერთობებში”. შეხვედრაზე, განხილულ იქნა სამსახურის მიერ წარმოებული კვლევის შედეგები, გატარებული რეფორმები, საერთაშორისო პრაქტიკა და ამ მიმართულებით მომავალში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა აღნიშნული საკითხის მნიშვნელობაზე, მომხმარებლის ინფორმირების აუცილებლობაზე და ამ მიმართულებით სამომავლოდ განსახორციელებელ აქტივობებზე.



## ჩეხეთის აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაციის წარმომადგენლის სამუშაო ვიზიტი საქართველოში

სადაზღვევო სფეროს განვითარების და ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, სამსახურის უფროსის, დავით ონოფრიშვილის ინიციატივით, აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაციის (AAFA) ორგანიზებით, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისა და სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლების მონაწილეობით სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას ჩეხეთის აქტუარული საზოგადოების თავმჯდომარე, იან შვაბი უძღვებოდა, რომელმაც შეხვედრის მონაწილეებთან ერთად დეტალურად მიმოიხილა – აქტუარის კვალიფიკაციასა და წლიურ აქტუარულ რეპორტთან დაკავშირებით, ევროკავშირში არსებული სტანდარტები და საუკეთესო, საერთაშორისო პრაქტიკა.

## კონკურენციის სამართლის აღსრულების საკითხებზე გამართული მრგვალი მაგიდა მარეგულირებელი უწყებების მონაწილეობით

საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის გაძლიერების, სამართლებრივი აღსრულების გაუმჯობესების და საერთაშორისო, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს ინიციატივით, ეროვნული მარეგულირებელი უწყებების მონაწილეობით, მრგვალი მაგიდა გაიმართა.

ღონისძიება გახსნა და მონაწილეებს სიტყვით მიმართა: დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა, დავით ონოფრიშვილმა; კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარემ, ირაკლი ლექვინაძემ; ეროვნული ბანკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, ნათია თურნავამ; სემეკის თავმჯდომარემ, დავით ნარმანიამ და კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ეკატერინე იმედაძემ.



შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, სადაც ავსტრიის და ლიეტუვის მაგალითებზე დაყრდნობით, მონაწილეებმა იმსჯელეს – ენერგეტიკის, კომუნიკაციების, საფოსტო და საბანკო სექტორში მიმდინარე ტენდენციებზე, გამოწვევებზე, შესაძლებლობებზე და იმ შედეგებზე, რომელიც მარეგულირებელი უწყებებისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენს.

## "შესავალი დაზღვევის სამართალში" წიგნის პრეზენტაცია

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელმა დავით ონოფრიშვილმა მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ წიგნის პრეზენტაციაზე – „შესავალი დაზღვევის სამართალში“. პრეზენტაციაზე აუდიტორიას წარედგინა ასოცირებული პროფესორის, ნატალია მოწონელიძის ავტორობით ახალგამოცემული ქართულენოვანი წიგნი.





ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, დავით ონოფრიშვილი; სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მოსამართლე საქართველოდან, პროფესორი – ლადო ჭანტურია; პროფესორი – ბესარიონ ზოიძე; ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სამართლის დოქტორი – თამარ ზარანდია და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე – თამარ ზამბახიძე.

+995 32 223 44 10

info@insurance.gov.ge

letters@insurance.gov.ge

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური ● ISSSG

თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. №3 საქართველო, 0179